ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 15 ივლისი, 2021 №128 (8657) ფასი: 60 თეთრი

## ლექსო ლაშქარავას სიკვდილი მისმა ცემამ განაპირობა?



ექსპერტი გეჯაძე: „ეს მთავარი კითხვაა“

გვ.5



# ზაზა გახელაძე ანატოლი ბიბილოვმა შეიწყალა

გვ.2



## „ივანიშვილი ძალიან დიდ საგონებელშია და, რას გააკეთებს, არ იცის“

გვ.3



რომან გოცირიძე: „ოცნება“ ორლობის დონეზე დაეშვა“

## საზღაურს ოპერატორზე თავდასხმისთვის 1 პირი დააკავეს

გვ.5



გვ.2



## „ქოცებმა“ დაისვენონ და ძალები მოიკრიბონ. მათ რთული ბრძოლა ელით“

ნინო ჯანგირაშვილი: „არჩევანი არ გვაქვს, უნდა ვიბრძოლოთ! მაინცდამაინც უნდა დაგვხოცონ?!“

## „ოცნებამ“ სააკაშვილს ძალაუფლება, შესაძლოა, ლანგრით მიართვას“

გვ.3



პეტრე მამრაძე: „როდესაც ოპოზიცია მიტინგს მართავს და ვუყურებ, მეცინება ხოლმე – ერთიმეორეს ცვლიან უმდიდრესი ადამიანები, მილიონერები და მულტიმილიონერები. ზოგი ბანკირია“

გიგა ბუკია: „ქვეყანაში კრიზისია“

გვ.4



„მთავრობის გადაყენების საკითხის დაყენება ოპოზიციის მხრიდან არარეალურია და მისთვის დივიდენდების მომტანი არ არის“

## „ოპოზიციამ თავისი ფუნქციის შესრულებაზე უარი თქვა“

ISSN 1987-9385

5 მოსამართლეები კლანისა და ხელისუფლების გარიგების შედეგად დაინიშნენე

4 ამირან გამყრელიძე: „ბავშვებში ინფიცირების ზრდის ტენდენცია გვაქვს“

2 პაატა მანჯგალაძე: „როგორც კი გვექნება 50 ხელმოწერა, დავიწყებთ უნდობლობის პროცედურის გამოცხადებას“

6 ისრაელმა ღაზის სექტორში ჰამასს დაარტყა

# „ქოცებმა“ დაისვენონ და ძალები მოიკრიბონ. მათ რთული ბრძოლა ელით“

იაგო ნაცვლიშვილი

**არ წყდება მედიის პროტესტი 5 ივლისის მოვლენების გამო, სადაც 53 ჟურნალისტი ცემეს, ხოლო „ტვ პირველის“ ოპერატორი გარდაიცვალა. ოთხმა ტელევიზიამ — „მთავარმა არხმა“, „ტვ პირველმა“, „ფორმულამ“ და „კავკასიამ“ — ეთერი ჩააბნელა და 24 საათით მაუწყებლობა შეწყვიტა. მათ ეს პროტესტის ნიშნად გააკეთეს.**
**რა გზავნილი იყო ეს და კიდევ რა პროტესტს მიმართავენ? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ტელეკომპანია „კავკასიის“ დირექტორი ნინო ჯანგირაშვილი საუბრობს.**



## ნინო ჯანგირაშვილი: „არჩევანი არ გვაქვს, უნდა ვიბრძოლოთ! მაინცდამაინც უნდა დაგვხოცონ?!“

***— ოთხმა ტელეკომპანიამ ჩააბნელეთ ეთერი პროტესტის ნიშნად. გაიგებს ამ ხმას „ქართული ოცნება“?***

— ვერ გეტყვით. მას აქვს აღქმის პრობლემები და კიდევ ბევრი პრობლემა, მაგრამ ვეცდებით, ჩვენი მოთხოვნა დააკმაყოფილდეს.

***— ამ ფორმით რის თქმა გინდოდათ, რა იყო თქვენი მთავარი გზავნილი?***

— 5 ივლისს ცემეს 53 ჟურნალისტი და ოპერატორი. აქედან ერთი გარდაიცვალა და რამდენი დღეა, ხელისუფლება დაკავებულია გარდაცვლილ ადამიანთან ბრძოლით, ნაცვლად იმისა, რომ მოძალადეები დაიჭიროს. ხომ ნახეთ, რა ოპერატიულად ამოიღეს მისი გადაადგილების მარშრუტი, ბავშვობაში ვის აწყენინა. აწარმოებენ უბინძურეს კამპანიას. სულ დაკავებულია 21 მოძალადე. ამ 21-მა ადამიანმა ცემა 53 ჟურნალისტი და ოპერატორი?! ღარიბაშვილმა, ფაქტობრივად, პირდაპირ გვითხრა, არავის დაჭერას არ ვაპირებო. მოძალადეებს ეფარება და ეკეკლუცება.

***— მთავარი რჩება ის, რომ ამ ყველაფრის ორგანიზატორები არ არიან დაკავებული.***

— დიახ, ორგანიზატორები არ არიან დაკავებული, როდესაც ფალავანდიშვილი წინა დღეს იდგა რუსთაველთან და იძახდა, მსხვერპლი იქნებაო. რატომ არ არიან დაკავებული ორგანიზატორები და მოძალადეები? ლექსოს ბავშვობას რომ ქექავდნენ, „სირცხვილიას“ ოფისთან კამერის ჩანაწერები ამოიღეს?! ვინ ცემა უმოწყალოდ ჟურნალისტები, ამის დადგენა ნუთუ ასე ძნელია?! ღარიბაშვილი თუ არ წავიდა, გამოძიება ვერ ჩატარდება.

ამბობენ, თითქოს სააკაშვილი გვარიგებს, რა ვითხოვოთ და რა მოვითხოვოთ. სინამდვილეში ჩვენი მოთხოვნა პოლიტიკური არ არის. რა თქმა უნდა, პრემიერის გადადგომა პოლიტიკური მოთხოვნაა, მაგრამ ჩვენი მოთხოვნა არის სამართლებრივი, მედიური და ადამიანური. ღარიბაშვილი დაინტერესებულია გამოძიების გაყალბებით. შსს და პროკურატურა იმის ნაცვლად, რომ იძიებდნენ, იქნებ ეს ადამიანი მართლა დაზიანებების შედეგად გარდაიცვალა, როდესაც მოძალადეები დასდევდნენ და აკავებდნენ, იქ იყო უზარმაზარი ჯგუფი, ოთხი და ხუთი ადამიანის დაკავება არაფერს ნიშნავს ამის მაგივრად წინასწარ კერავენ საქმეს, რათა ღარიბაშვილი და მისი ბნელი მოძალადე ჯალათები არ დაისაჯონ. ხვდებით, რასთან გვაქვს საქმე?! გამოძიებაზე ახდენს ზეგავლენას თავისი პოლიტიკური ინტერესების გამო. როდესაც მათ მობილიზაციას აკეთებს, არ უნდა გადადგეს?! მაინცდამაინც უნდა დაგვხოცონ?!

3 დღის წინ პოლიციამ მე ფეხი დამიზიანა, ხოლო პირველი არხის ჟურნალისტ ირაკლი აბსანძეს ხელი მოსტეხა. მე ხელჯოხით დავდივარ, აბსანძე — თაბაშირით, ანუ ველურებმა ხომ ცემეს 53 ჟურნალისტი და ახლა პოლიციამ დაგვამტვრია ხელ-ფეხი იმიტომ, რომ მე, ჟურნალისტი, პარლამენტის კართან ვიდექი, ის კიდევ — „ოცნების“ ოფისთან პროტესტის გამოსახატავად მშვიდობიანი ფორმით.

***— აქედანაც ხომ არ გამოჩნდა, რომ თურმე პოლიციას შესძლებია, დაიცვას მოქალაქეები თუ კონკრეტული ობიექტი, როცა ეს ხელისუფლების ინტერესებშია?***

— პარლამენტის დაცვა შესძლებია. ფეხები დამამტვრიეს პირდაპირი გაგებით. როდესაც უნდათ, ყველას და ყველაფერს იცავენ, ანუ არ დაგვიცვა პოლიციამ, არ დაიცვა მედია და, როგორ წარმოგიდგენიათ, ამის მერე გავაგრძელოთ ცხოვრება, ვითომც არაფერი ყოფილა?! სანამ მართლა იარაღით არ შემოგვივარდებიან და დაგვხოცავენ? — უბრალოდ, არჩევანი არ გვაქვს, რომ არ ვიბრძოლოთ. ამიტომ ვიბრძოლებთ და ღარიბაშვილი წავა, თანაც ძალიან მალე.

***— ანუ, როგორც მივხვდი, თქვენი ერთგვარი აქცია, როდესაც ტელევიზიები ჩააბნელეთ, მსოფლიოს დასანახად იყო გაკეთებული?***

— ყველასკენ იყო მიმართული. მსოფლიოსკენაც არის მიმართული და ჩვენი თანამოქალაქეებისკენაც. ჩვენი სათქმელი და გასაჭირი ვუთ-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# ზაზა გახელაძე ანატოლი ბიბილოვმა შეიწყალა



გუშინ, 14 ივლისს, ზაზა გახელაძე ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა ანატოლი ბიბილოვმა შეიწყალა.

ამის შესახებ ინფორმაცია პრეზიდენტის ადმინისტრაციის საიტზე გავრცელდა.

„გათავისუფლდეს იგი თავისუფლების აღკვეთის შემდგომი სასჯელისაგან“, – ნათქვამია განკარგულებაში.

გუშინვე ზაზა გახელაძე საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოიყვანეს.

აქ მას დახვდნენ პრემიერი ღარიბაშვილი, შს მინისტრი გომელაური და სხვა ოფიციალური პირები.

— დღეს გათავისუფლებას არ ველოდებოდი, — უთხრა ზაზა გახელაძემ ერგნეთში შეკრებილ ჟურნალისტებს.

— ღმერთის წყალობით, ჩვენი პატრიარქის წყალობითა და ჩვენი მთავრობის გვერდზე დგომით ყველაფერი კარგად დასრულდა, — დაამატა მან.

ზაზა გახელაძის დედამ, ნანა გახელაძემ, შვილის გათავისუფლებისათვის საქართველოს პრემიერ-მინისტრს მადლობა გადაუხადა.

— ყველას დიდი მადლობა, ვისაც ჩემი შვილის გათავისუფლებაში წვლილი მიუძღვის, ჩვენს პატრიარქს, რუსეთის პატრიარქს, პრემიერს, პრეზიდენტს, ვისაც კი ერთი სიტყვა დაუხარჯავს ჩემი შვილის გათავისუფლების საქმეში, ყველას დიდი მადლობა მინდა გადავუხადო, — განაცხადა ნანა გახელაძემ.

33 წლის ზაზა გახელაძე საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებმა გასული წლის 11 ივლისს კასპის მუნიციპალიტეტში, სხვილოს ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე უკანონოდ დააკავეს. დაკავებისას ე.წ. მესაზღვრეებმა გახელაძე ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ფეხის არეში დაჭრეს, რის შემდეგაც უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება.

5 თებერვალს ცხინვალის სასამართლომ ზაზა გახელაძეს 12 წლითა და 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

# პაატა მანჯგალაძე: „როგორც კი გვექნება 50 ხელმოწერა, დავიწყებთ უნდობლობის პროცედურის გამოცხადებას“



„ამ წუთში 46 დეპუტატის თანხმობა გვაქვს“ „სტრატეგია აღმაშენებლის“ გენერალური მდივანი, პარლამენტის წევრი პაატა მანჯგალაძე აცხადებს, რომ როგორც კი ოპოზიციაში 50 დეპუტატის თანხმობა იქნება, მთავრობის უნდობლობის საკითხს დააინიცირებენ.

როგორც მანჯგალაძემ „პალიტრანიუსის“ გადაცემა „360 გრადუსში“ განაცხადა, ამ დროისთვის 46 დეპუტატის თანხმობაა, დანარჩენებს კი მოსაფიქრებლად ვადა ხვალამდე აქვთ.

— გომელაურის მოსმენა ჩვენ უკვე დაინიცირებული გვაქვს. მისი დაბარება პარლამენტში „ლელოსთან“ ერთად თვითმმართველობის კომიტეტის ეგიდით მოხდება.

ასევე ჩვენ ინიციატორები ვიყავით უნდობლობის პროცედურის გამოცხადების, მაგრამ არ არის „სტრატეგია აღმაშენებელი“ ისეთი დიდი, რომ შეგვეძლოს 50 კაცის შეგროვება. რამდენიმე პოლიტიკური ჯგუფი ჩამოაყალიბებს ამ საკითხთან დაკავშირებით პოზიციას. როგორც კი გვექნება 50 ხელმოწერა, მაშინვე დავიწყებთ უნდობლობის პროცედურის გამოცხადებას, რაც არის კონსტიტუციური. 50 დეპუტატის მოგროვების პრობლემა თეორიულად არ არის, მაგრამ პრაქტიკულად ჩვენ ამ წუთში 50 ხელმოწერა არ გვაქვს. ამ წუთში არის 46 დეპუტატის თანხმობა, დანარჩენები ფიქრობენ. ვადა აქვთ ხვალამდე აღებული და მოვლენებს არ დავასწრებ. მათი არგუმენტია, რომ მაინც ვერ გავიყვანთ ბოლომდე ამ საკითხს, — განაცხადა მანჯგალაძემ.

# „მივესალმებით ზაზა გახელაძის გათავისუფლებას“

## ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის განცხადება




საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ზაზა გახელაძის უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლებას მიესალმება.

როგორც მისიაში აცხადებენ, ამ პოზიტიური შედეგის მისაღწევად ერთწლიანი უწყვეტი მუშაობა მიმდინარეობდა.

„ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია შვებით მიესალმება ბატონი ზაზა გახელაძის გათავისუფლებას, რაც მოხდა ამ პოზიტიური შედეგის მისაღწევად ერთწლიანი უწყვეტი ძალისხმევის შემდეგ, მათ შორის ცხელი ხაზისა და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ერგნეთის ფორმატში ფართო დისკუსიების გზით“, – ნათქვამია ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მიერ ტვიტერზე გავრცელებულ ინფორმაციაში.

# ნიკოლოზ სამხარაძე: „ოპოზიციას ერთი სული აქვს, საქართველოს სანქციები დაუწესდეს“



— ოპოზიციას ერთი სული აქვს, საქართველოს სანქციები დაუწესდეს, თუმცა საზოგადოებას ვარწმუნებ, საქართველოს სანქციებს არასოდეს დაუწესებენ.

ამის შესახებ პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ნიკოლოზ სამხარაძემ განაცხადა.

როგორც მან ამ კონტექსტში აღნიშნა, საქართველო რეგიონში ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტის გათვალისწინებით მოწინავე ქვეყანაა.

— აშშ-ის სახელმწიფო მდივნის პრესსპიკერის განცხადებაში გამოთქმული იყო შეშფოთება იმაზე, რაც 5 ივლისს მოხდა. რა თქმა უნდა, მომხდარ ძალადობას ყველა ვგმობთ და ამ სულისკვეთებას ჩვენც ვუერთდებით. რაც შეეხება განცხადების მეორე ნაწილს, ჟურნალისტმა დასვა კითხვა საქართველოსთვის სანქციების დაწესების თაობაზე. პასუხი ძალიან ზოგადი იყო – ზოგადად, ქვეყნებს, სადაც ადამიანის უფლებები მასობრივად ირღვევა, რა თქმა უნდა, სანქციები უწესდებათ. საქართველო ის ქვეყანა არ არის, სადაც ადამიანის უფლებები მასობრივად ირღვევა. შესაბამისად, ამ მიმართულებით რაიმე მნიშვნელოვანს არ ველოდები. თეორიული დაშვება, რომ საქართველოს ვინმემ შეიძლება სანქცია დაუწესოს, არის გამორიცხული, — განაცხადა ნიკოლოზ სამხარაძემ.

მისი თქმით, 5 ივლისს პოლიციელებისთვის ჟურნალისტებზე მომხდარი თავდასხმა მოულოდნელი იყო და, შესაბამისად, მათ ჟურნალისტების სათანადოდ დაცვა ვერ შეძლეს.

— რა თქმა უნდა, რაც მოხდა, ცუდი და არასასურველი ფაქტია – იმ მომენტში პოლიციამ ჟურნალისტების დაცვა ვერ შეძლო, რაც სამომავლოდ გაკვეთილი იქნება, — განაცხადა პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ.



# 4-მა ტელეკომპანიამ მაუწყებლობა 24 საათით შეწყვიტა

გუშინ, 14 ივლისს, „მთავარმა არხმა“, „ტვ პირველმა“, „ფორმულამ“ და „კავკასიამ“ 24 საათით მაუწყებლობა შეწყვიტეს.

მათი მთავარი მოთხოვნებია, გადადგეს დაკავებული თანამდებობიდან საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და დაისაჯოს ყველა, ვინც 5 ივლისს ჟურნალისტების წინააღმდეგ იძალადა.

მაყურებელს ტელეეკრანებზე სწორედ 5 ივლისს დაშავებული ჟურნალისტებისა და ოპერატორების ჩამონათვალისა და ამ მოთხოვნების ნახვა შეეძლო.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალაგაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ზერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ივანიშვილი ძალიან დიდ საგონებელშია და, რას გააკეთებს, არ იცის“

## რომან გოცირიძე: „ოცნება“ ორლობის დონეზე დაეშვა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს რომან გოცირიძე პასუხობს.

***– ბატონო რომან, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს? ამ დიდ აურზაურში ხელისუფლებამ მოახერხა და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები დანიშნა, რის შემდეგაც მოვისმინეთ საკმაოდ მკაცრი შეფასებები ევროკავშირიდან. ალაპარაკდნენ სანქციებსა და დასახმარებლად გამოყოფილი თანხის შეჩერებაზე. ეკონომიკურად ისედაც ურთულესი სიტუაცია გვაქვს და ეს ყველაფერი რამდენად დაგვაზარალებს?***

– ევროკავშირმა მთავრობისადმი სანქციების შესაძლო დაწესების შესახებ გააკეთა განცხადება, რაც გამოწვეულია მოსამართლეთა დანიშვნით შეთანხმების დარღვევასთან. მიმდინარე წლის ბიუჯეტში ევროკავშირის გრანტი გათვალისწინებულია 290 მილიონი ლარის ოდენობით. აი, ამის შეჩერებაზეა საუბარი. გუშინ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებებშიც სანქციები იყო ნახსენები. საქმე იქითკენ მიდის, რომ ამ ხელისუფლებასთან საქმეს არავინ დაიჭერს და ივანიშვილისადმი პერსონალური სანქციების დაწესების მომსწრენიც გავხდებით. არც მოლდოვასა და უკრაინაში ეგონათ ოლიგარქებს, რომ ასე მოხდებოდა, მაგრამ ხომ მოხდა.

***– სერიოზულ სანქციებზე შეიძლება იყოს საუბარი?***

– ასე ღიად სანქციებზე ამერიკის მთავრობის მხრიდან არასოდეს უსაუბრიათ. ნუ გვავიწყდება, რომ ჩვენი ბიუჯეტი მკვდარია საერთაშორისო დახმარების გარეშე. უნდა გაკეთდეს ერთობლივი მიმართვა ამერიკის ადმინისტრაციისადმი, რათა დაწესებულ იქნეს სანქციები ბიძინა ივანიშვილისა და მთავრობის მიმართ, სანამ არ შესრულდება ის მოთხოვნები, რომლებსაც ითხოვს საზოგადოება და რომლებიც მხარდაჭერილია ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან.

***– ბევრი შეცდომა დაუშვა „ოცნების“ ხელისუფლებამ?***

– იმდენი რამე დააშავა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ და ისე ჰქონდათ თავში ავარდნილი, ოღონდ რუსეთისკენ არ წაეყვანა ქვეყანა ივანიშვილს, მას ეგონა, რომ დასავლეთი ყველა მის შეცდომაზე თვალს დახუჭავდა. მათი რიტორიკა ასეთი იყო დასავლეთის მიმართ – თუ ახლა თავზე ხელს არ გადაგვისვამთ, წავალთ და პუტინს შევეკვრებითო, მაგრამ ეს აღარ გაუვათ, ასე მიიღებენ ძალიან მკაცრ სანქციებს. ყველაფერი დამთავრდება ივანიშვილისთვის პერსონალური სანქციებით. ის, რაც ახლა ამ ზოგიერთმა მღვდელმა და ქუჩაში მოთარეშე შავრაზმელებმა ჩაიდინეს, დაასახიჩრეს ჟურნალისტები, მოკლეს ჟურნალისტი, ნაწილი დღესაც მძიმე ვითარებაში იმყოფება, უკვე ბოლო წვეთი იყო ჩვენი პარტნიორებისათვის, როდესაც „ოცნების“ ხელისუფლებამ შარლ მიშელის შეთანხმება ჩააგდო. ამხელა თანხა იყო გამოყოფილი და ერთ თეთრსაც არავინ მოგვცემს, ამ ფულის გარეშე კი ქვეყანა ჩამოიშლება.

***– არადა, ისედაც ურთულესი ეკონომიკური მდგომარეობა გვაქვს ქვეყანაში. საით მივდივართ?***

– როდესაც გამოდიან და იძახიან, აი, ასეთი ეკონომიკური ზრდა გვაქვსო, ეს არის იმის შედეგი, რომ დაახლოებით 7,5 მილიარდის სესხი იქნა აღებული, ამ თანხიდან კი საკმაოდ დიდი რაოდენობის მოიპარეს, მაგრამ ის, რაც იქნა გამოყენებული, ეკონომიკაში მხოლოდ ერთჯერად ეფექტს ახდენს. თუ სანქციები დააწესეს და დახმარება შეგვიწყვიტეს, ამის გარეშე ვერც ბიზნესი იარსებებს და ვერც ქვეყანა. ქვეყანას ძალიან დიდი ფასის გადახდა მოუწევს იმაზე, რაც ჩაიდინა. ბოლო გაფართხალება უნდათ, რადგან ვაბანკზე მიდიან და მოსამართლეები დანიშნეს, ეს მოსამართლეები კი იმისთვის დანიშნეს, რომ ეს არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი. იმდენად მნიშვნელოვანია ეს მოსამართლეები ივანიშვილისა და „ქართული ოცნებისათვის“, რომლებიც შემდეგ უნდა იქცნენ მათი ფინანსური და პოლიტიკური ძალაუფლების შენარჩუნების გარანტად, რომ ამხელა რისკზე წავიდნენ. ახლა მორიგი რისკია ორი ყურმოჭრილი მონა კანდიდატის წარმოდგენა ცესკოს თავმჯდომარედ.

***– შეძლებენ ამ საკითხის გატანასაც?***

– ამას, რა თქმა უნდა, სჭირდება მაღალი კვორუმი, 100 კაცი და, ბუნებრივია, ამას ჩააგდებს ოპოზიცია, მეორედაც ჩააგდებს და ამ პროცესში მესამედ თუ მოინდომეს ექვსი თვის განმავლობაში რომელიმე საკუთარი კანდიდატის თავსმოხვევა, რომელიც ასევე ეწინააღმდეგება შარლ მიშელის შეთანხმებას, ეს იმას ნიშნავს, რომ უბრალოდ უნდათ, ერთჯერადი გამოყენების ხელსახოცივით მოიხმარონ ეს ცესკოს თავმჯდომარე, რომელსაც დაავალებენ არჩევნების გაყალბებას. ასე ცესკოს თავმჯდომარის ძალით გაყვანა პირდაპირი სიგნალი იქნება იმისა, რომ ამ არჩევნებშიც აპირებენ თაღლითობას. ხელისუფლებამ კარგად იცის, რომ ეს სანქციები მის მოსახლეობას დაამშევს და დააზარალებს, თუმცა მაინც მიდის ამაზე. ამ ყველაფერს კი მოჰყვება საკადრისი პასუხი და სერიოზულ ფასად დაუსვამს ხალხი არჩევნებში ხელისუფლებას.

***– ის მოსამართლეები, რომლებიც უნდოდათ, ყველა გაიყვანეს?***

– ცხრა მოსამართლიდან სამი გაიყვანეს. იქ იყო ერთი-ორი კარგი მოსამართლე, რომლებიც თავიანთი პატიოსნებითა და კვალიფიკაციით იყვნენ ცნობილი და მაინცდამაინც ის კანდიდატები ჩააგდეს.

***– მედია და ოპოზიციის დიდი ნაწილი ირაკლი ღარიბაშვილისა და შს მინისტრის გადადგომას ითხოვს, ღარიბაშვილის პასუხიც მოვისმინეთ. რას ელოდებით?***

– დღეს ივანიშვილი უმძიმეს მდგომარეობაშია. ღარიბაშვილი უკვე გაკოტრებული ფიგურაა, რომლის ხელისუფლებაში ყოფნის ყოველი დღე აკარგვინებს ქვეყანას ინვესტიციებს, ტურისტებს, ულახავს ქვეყანას რეპუტაციას, ამიტომ გაუშვებს? ეს იქნება აღიარება მისი დანაშაულისა და პროვოკაციული ქმედებებისა. სწორედ მან წაახალისა ეს ქუჩის ბრბო. სწორედ მისმა განცხადებებმა. არ გაუშვებს და ღარიბაშვილის მთავრობით არჩევნებზე გასვლა „ოცნებისთვის“ იქნება დიდი კრახი. ღარიბაშვილი არის ადამიანი, რომელიც ვერ გამოჩნდება ვერსად, ვერც ინტერვიუს მისცემს და არავინ მის ნალაპარაკევს არ გააშუქებს. მას მუდმივი ზურგშექცევა ექნება მედიის მხრიდან. რეალურად მას საზოგადოებაში გამოჩენის თავი აღარ აქვს. ამიტომ ივანიშვილს ეყოლება თავისი ჯიბის პრემიერ-მინისტრი, დასაქოქი პრემიერ-მინისტრი, რომელსაც დაქოქავს და, რასაც უნდა, იმას ალაპარაკებს. ან ვინღა უნდა დანიშნოს ივანიშვილმა პრემიერ-მინისტრად? ვინც კი „ოცნებაში“ წერა-კითხვა იცოდა, ყველა გაექცა. „ქართული ოცნების“ იმ პირველი ნაწილიდან, რომლითაც ივანიშვილი ხელისუფლებაში მოვიდა, აღარავინ დარჩა. ძალიან არაკვალიფიციური კადრები ჰყავს და ვინ უნდა დანიშნოს?! ორღობის დონეზე დაეშვა „ოცნება“. ადამიანები, რომლებიც გარს არტყია, საბჭოთა დროს, შესაძლოა, ყოფილიყვნენ ბრიგადირები, კოლმეურნეობის თავმჯდომარეებიც კი არა, არამედ ბრიგადირები. აი, ამ დონის ხალხია დარჩენილი ივანიშვილის გარშემო.

***– რას იზამს, შეცვლის არჩევნებამდე ღარიბაშვილს?***

– შეიძლება, წინასაარჩევნოდ შეცვალოს, რადგან წინასაარჩევნოდ გაუჭირდება ღარიბაშვილს გამოჩენა, ვერავის შეხვდება. ივანიშვილი ძალიან დიდ საგონებელშია და, რას გააკეთებს, არ იცის. ერთს გააკეთებს თუ მეორეს, ორივე დამაზიანებელია მისთვის. ღარიბაშვილს აუცილებლად მოუწევს გადადგომა. დარწმუნებული ვარ, მას ახლაც უნდა, რომ წავიდეს, მაგრამ, როგორც არავინ ეკითხებოდა მოსვლას, ისე არავინ ეკითხება წასვლას. ის არის ივანიშვილის მარიონეტი, დასაქოქი თოჯინა და, როგორც მოქოქავენ, ისე იქცევა.



# „ოცნებამ“ სააკაშვილს ძალაუფლება, შესაძლოა, ლანგრით მიართვას“

## პეტრე მამრაძე: „როდესაც ოპოზიცია მიტინგს მართავს და ვუყურებ, მეცინება ხოლმე – ერთიმეორეს ცვლიან უმდიდრესი ადამიანები, მილიონერები და მულტიმილიონერები. ზოგი ბანკირია“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი წევრი პეტრე მამრაძე პასუხობს.

***– ბატონო პეტრე, როგორ აფასებთ ქვეყანაში არსებულ ვითარებას? მოგეხსენებათ, სიტუაცია უმძიმესია. ნაცემია ჟურნალისტთა კორპუსი, გარდაცვლილია ოპერატორი. როგორ ფიქრობთ, რამ გამოიწვია ასეთი აგრესია ჟურნალისტების მიმართ?***

– ჯგუფი, რომელიც სცემდა ჟურნალისტებსა და სხვებს, არ იყო სპონტანურად შექმნილი. ისინი წარსულში კარგად ნავარჯიშები ადამიანები იყვნენ. ბევრი მათგანი სპორტსმენიც იქნებოდა. საკმაო გამოცდილება მაქვს და ამას ვხედავდი. ისინი კარგად იყვნენ მომზადებული ამ ოპერაციისათვის.

***– ამ ჯგუფებს ოპოზიცია მთავრობასთან რომ აკავშირებს?***

– ოპოზიციის მხრიდან ლაპარაკია იმაზე, რომ სიმპათიებია, თუმცა არ აკეთებენ იმას, რაც სააკაშვილის დროს იყო, როცა ზონდერბრიგადებიც და მათი ხელმძღვანელებიც ცნობილი იყვნენ, ვთქვათ, იგივე გულუას დაჯგუფება და სხვ. შიდა ქართლში იყო კიდევ ერთი დაჯგუფება. თუმცა თბილისში ლაპარაკობენ, რომ სიმპათიები არის. პირადად ღარიბაშვილზე საუბრობენ.

***– საფუძველი არსებობს?***

– როცა ამას სინანულით ამბობენ ნაცების მოწინააღმდეგეები, როგორც წესი, ასეთი ვარაუდების დიდი ნაწილი მართლდება. პატარკაციშვილის დროს „იმედი“ სულაც არ იყო დამოუკიდებელი და ობიექტური. ის ემსახურებოდა პირადად დამფუძნებლის ინტერესებს. პატარკაციშვილის ინტერესებში შედიოდა სააკაშვილისა და მისი დაჯგუფების კრიტიკა, დაშინება და დისკრედიტაცია, მაგრამ მაშინ „იმედში“ შესანიშნავი ჟურნალისტები იყვნენ, რომლებიც ყველაფერს იღებდნენ და აჩვენებდნენ.

გვახსოვს, სააკაშვილმა ჭოპორტში უმდიდრესი ვილა რომ ააშენა, იქ, სადაც ფეხით გავლაც კი არ შეიძლებოდა, თბილისისთვის სასმელი წყალი იფილტრებოდა, განსაკუთრებით დაცული ზონა იყო, „იმედმა“ აჩვენა. გირგვლიანის საქმეც „იმედის“ მიერ გადაღებული კადრებიდან დაიწყო.

პატარკაციშვილი ამას აკეთებდა არა მაღალი იდეალების გამო, არამედ, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, სააკაშვილის რეჟიმს ებრძოდა. დღესაც მსგავსი სიტუაციაა. ტელევიზიები, რომელთაგან ზოგიერთი სააკაშვილის პროპაგანდისტული რუპორია, ზოგიერთი კი – სხვისი, მართლა არ არიან ობიექტურები და თავისუფლები. ვერც კი უახლოვდებიან ობიექტურობასა და თავისუფლებას, თუნდაც იმიტომ, რომ სააკაშვილმა და მისმა თანამზრახველებმა რაც უნდა ჩაიდინონ, იმაზე არასოდეს ილაპარაკებენ, თუმცა აჩვენებენ „ოცნებაში“ ჩანერგილ პლუტოკრატებს, მილიონერებსა და მულტიმილიონერებს, თუ როგორ ცხოვრობენ, როგორ სახლებს იშენებენ. ხალხის ნაწილმა ეს ყველაფერი იცის.

***– რა კავშირი აქვს ამას ჟურნალისტთა კორპუსის ცემასთან?***

– პლუტოკრატები ცოფდებიან, როცა მათ შავბნელ საქმეებს, საბუთებს ასაჯაროებენ, სადაც ნაჩვენებია, რამდენი მიწა გადაეცათ, ფაქტობრივად, უსასყიდლოდ.

***– კი მაგრამ, ჟურნალისტს ხომ ამით ვერ შეაშინებ, პირიქით, წააქეზებ, რომ უფრო მეტი აჩვენოს.***

– ამას ვუხსნიდი შევარდნაძის გარშემო მოკალათებულ კორუმპირებულ ჩინოვნიკებს, რომლებიც „დარდუბალას“ ჩვენების შემდეგ შევარდნაძეს ეუბნებოდნენ, ცილისწამებაა, არავითარი კორუფცია არ არის, ესენი სოროსის ფულს იღებენ და იმიტომ აჩვენებენ, ამათ უნდა ვუჩვენოთ სეირიო. შევარდნაძე მათ დაშოშმინებას ახერხებდა, მაგრამ, ხომ ნახეთ, „რუსთავი-2“-ში მაინც შეცვივდნენ.

ასეთები იმას კი არ ფიქრობენ, ან მართლა პოლიციური რეჟიმი უნდა შექმნა, როგორც სააკაშვილის დროს და ყველა ტელევიზია ჩაიგდო ხელში, შეძლო დამალვა, ან უნდა აიტანო კრიტიკა.

***– ანუ ამ პროცესს ლგბტ-ს კვირეულთან და აღლუმის ჩატარების მცდელობასთან არანაირი კავშირი არ აქვს?***

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# „ქოცებმა“ დაისვენონ და ძალები მოიკრიბონ. მათ რთული ბრძოლა ელით“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ხრათ ხალხს. „ქოცები“ დაგვცინიან. მოვისმინე, რომ ფორმა და კადრები დაგვიწუნა ამ ამორალურმა ხალხმა, რანაირად გლოვობთო.

***– გუშინაც ზარ-ზეიმი ჰქონდათ, 24 საათით მაინც დავისვენებთო.***

– დაისვენონ. დიდხანს არ გაუგრძელდებათ ეგ ბედნიერება. ყველაფერზე აგებენ პასუხს. მოიკრიბონ ძალები. მათ რთული ბრძოლა ელით.

***– მხოლოდ 24 საათით არის ეს აქცია თუ კიდევ შეიძლება გააგრძელოთ პროტესტის ეს ფორმა?***

– ეს არის ჩვენი პროტესტის ერთ-ერთი ფორმა. პროტესტის ბევრი ფორმა გვაქვს. ამოუწურავი საშუალებები გვაქვს ბრძოლის. ნუ ეგონებათ, რომ სულ ასე ჩაბნელებული იქნება ეთერები და ბედნიერები იქნებიან. არა, ბატონებო. ისიამოვნონ ამ 24 საათით და მერე ძალიან ბევრი რთული 24 საათი ელოდებათ.

***– ივანიშვილის რეზიდენციასთანაც ხომ არ გამართავთ აქციას?***

– ორი აქცია გავმართეთ და კიდევ ბევრი აქცია გვექნება. ზუსტად სად და როგორ, ჯერ ვერ გეტყვით. გრძელვადიანი გეგმა ნამდვილად არ დაგვიწერია და არც ვაპირებთ, რომ ოპოზიციას დავემსგავსოთ, ორი თვის მერე დავაანონსოთ აქცია და ვთქვათ, უიმე, ახლა ვიწყებთ მზადებას იმ აქციისთვის, 2 თვის მერე რომ იქნება. შაბათს, 6 საათზე, ვიკრიბებით რუსთაველზე. იქ გადავწყვეტთ, რა და როგორ. ვეპატიჟებით ყველას, ვისაც არ უნდა ამ ძალადობის დიქტატურაში ცხოვრება.

***– ოპოზიცია თუ დაინახეთ მთელ ამ პროცესში თანმიმდევრული და თუ დაინახეთ მედიის გვერდით 5 ივლისიდან მოყოლებული დღემდე?***

– მე ასე ვიტყოდი, რომ ოპოზიციას თავისი თავი გასჭირვებია და მიხედონ საკუთარ თავს. ჩვენ არავის იმედზე არ ვართ.

ვნახეთ ბავშვები, რომლებიც ბრიფინგებზე კოლეგების სურათებით დგანან, რეგიონული მაუწყებლობები, რომლებმაც ლექსოს გასვენების დღეს ეთერი გათიშეს. სხვადასხვა მეთოდია. ჩვენი პროფესიისა და სიცოცხლისთვის ვიბრძვით. პოლიტიკოსების იმედზე ნამდვილად არ ვართ. თუ ისინი გვერდით დაგვიდგებიან, მხოლოდ მადლობელი ვიქნებით, მაგრამ ჩვენ არავის იმედზე არ ვართ. რამდენად ადეკვატურები იქნებიან, ეს უკვე მათი პრობლემაა და მათზე აისახება არჩევნებზე. ასე რომ, ჩვენ ოპოზიციის იმედზე ნამდვილად არ ვართ.

***– დღეს მაინც თუ ვართ მედია ერთიანი, როდესაც გასაჭირი ყველას დაგვიდგა, თუ მაინც არის რაღაცა მოძრაობები?***

– ერთიანობა არ არის ამოცანა. მე ყოველთვის ვამბობ, რომ ერთიანები, მგონი, მარტო სასაფლაოზე არიან.

***– მე ვგულისხმობ მიზნის მიღწევაში?***

– სამწუხაროდ, ქართულ მედიას სხვადასხვა მიზანი აქვს. ზოგი თავის პატრონს ემსახურება, მაგრამ, საბედნიეროდ, არიან ჟურნალისტები, რომლებიც საკუთარ პროფესიულ მოვალეობას ასრულებენ, საკუთარ პოზიციას გამოხატავენ და მედიაბოსების გადაწყვეტილებებზე ხშირად აღარ არიან დამოკიდებული. მაგალითად, მე მიხარია, როდესაც ვუყურებ „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტებს, რომლებიც საკუთარ პროფესიას პატივს სცემენ და არ აინტერესებთ, რას იტყვიან ქიბარ ხალვაში და ბიძინა ივანიშვილი, იმიტომ რომ ისინი ადამიანები არიან. მათ კოლეგა მოუკლეს. „ოცნება“ კი იმასაც ვერ ხვდება, რაში გაყო თავი. ჟურნალისტების მასობრივად გაუსწორდა ფიზიკურად. ასე რომ, ისეთი ზღვარი წაშალა, მეტნაკლებად ყველა ჟურნალისტი ერთიანი და სოლიდარულია. მათ ზუსტად იციან, რომ მათი პატრონები ყოველთვის იშოვიან რაღაცას, ჟურნალისტები კი თავიანთ პროფესიაში უნდა დარჩნენ.

ეს მედიამენეჯერების პროტესტი არ არის. ეს ნიკა გვარამიას, ნინო ჯანგირაშვილისა და ვატო წერეთლის ახირება არ არის. ჩვენ ყველანი ერთიანები ვართ. მედიამენეჯერებს სხვა გზა არ დაუტოვა ხელისუფლებამ, ახლა რომ პოლიტიკურ აფილაციებს ეძებს. კი ხვდებიან ამას, მაგრამ მათი პიარკამპანიისთვის ასე ჯობია. ბრძოლის გარდა, სხვა არჩევანი არ დაგვიტოვეს. ყველა ერთიანები ვართ, მედიამენეჯერებიც, მფლობელებიც და ჟურნალისტებიც. რა თქმა უნდა, „პოსტივის“ შალვა რამიშვილზე არ ვლაპარაკობ, რომელსაც საკუთარი ჟურნალისტები არ ეცოდება, სულ რომ თვალწინ მოუკლან, არ აინტერესებს, იმიტომ, რომ ივანიშვილის უკანალს ლოკავს. ამ ცალკეულ შემთხვევებზე არ ვლაპარაკობ. ოპერატორების უპრეცედენტო სოლიდარობა ვნახეთ, რომლებსაც კოლეგა მოუკლეს და „ინტერპრესნიუსის“ ოპერატორი ისევ საავადმყოფოშია. ეს ასე უნდა გავატაროთ?! წარმოუდგენელია!

# „ოპოზიციამ თავისი ფუნქციის შესრულებაზე უარი თქვა“

## გიგა ბუკია: „ქვეყანაში კრიზისია“

მარიამ მჭედლიშვილი

**რა რეაქცია აქვთ საქართველოში მიმდინარე აუხსნელ მოვლენებზე ქვეყნის მოქალაქეებსა და საგარეო პარტნიორებს? ვინ დაკარგა ფუნქცია? რატომ ხდება აბსურდული მიხეილ სააკაშვილის სახელის მოხსენიება? რომელი ოპოზიციონერისგან არ იყო მოსალოდნელი არაადეკვატური ქცევები? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა საქართველოს კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთ ლიდერს, პარლამენტის ყოფილ წევრ გიგა ბუკიას.**



„მთავრობის გადაყენების საკითხის დაყენება ოპოზიციის მხრიდან არარეალურია და მისთვის დივიდენდების მომტანი არ არის“

***– 5 ივლისის შემდეგ ქვეყანაში ბევრი რამ რიგზე ვერ არის. ამას დაემატა ამ დღეს დასისხლიანებული ოპერატორის ლექსო ლაშქარავას გარდაცვალება. თქვენ როგორ აფასებთ შექმნილ მდგომარეობას, ეს კრიზისია?***

– ქვეყანაში ზოგადად არის კრიზისი. მხოლოდ პოლიტიკას არ ვგულისხმობ. ჩვენ არ გვაქვს საქმე კლასიკურ კრიზისთან. ხდება ბევრი უსიამოვნო, გაუგებარი და მავნე მოვლენა. ხშირად ყველაფერი აბსურდის თეატრამდე მიდის. საქართველოს მოქალაქეებს უნდათ გაიგონ, რა ხდება, მაგრამ მათთვის ბევრი რამ ბურუსითაა მოცული. ამავე მდგომარეობაში არიან საქართველოს უცხოელი პარტნიორები. ისინი მხრებს იჩეჩენ და ვერ გაუგიათ, ვინ ვართ, საით მივდივართ, რა გვინდა. ამიტომ ვამბობ, რომ ეს კრიზისი უფრო ღრმაა, ვიდრე კლასიკური პოლიტიკური ან სახელისუფლებო კრიზისი. ბევრი რამ აირია. ბევრმა დაკარგა საკუთარი როლი.

***– კერძოდ?***

– მაგალითად, ინსტიტუტებმა დაკარგეს თავიანთი ფუნქცია. მხოლოდ სახელმწიფო ინსტიტუტებზე არ ვლაპარაკობ. იგივე აქტიური არასამთავრობო ორგანიზაციები არ არიან ობიექტურები და სამართლიანები. ისინი გამოდიან მხარედ (ხან ხელისუფლების მომხრე, უფრო ხშირად კი – მოწინააღმდეგე). არადა, მესამე სექტორი უნდა იყოს ობიექტური კონტროლიორი. სამწუხაროდ, ზოგჯერ აღრეულია მედიის ფუნქციაც. თავისი ნამდვილი ფუნქცია დაკარგა ოპოზიციამაც. ხელისუფლება იქამდე მივიდა, რომ მიმდინარე პროცესებს საზღვარგარეთ მყოფ მესამე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს აბრალებს.

***– თქვენც გისაუბრიათ სააკაშვილის მცდელობებზე და მის მავნე შედეგებზე.***

– დიახ, ამას არ უარვყოფ. სააკაშვილის მხრიდან ყოფილა რევანშისტული და ქვეყნისთვის საზიანო მოქმედებები, მაგრამ, როცა 9 წელიწადი ხარ ხელისუფლებაში და მთელი ამ ხნის განმავლობაში ყველაფერს სააკაშვილს აბრალებ, ეს სასაცილო ხდება. დავუშვათ, სააკაშვილი სისტემატურად ურევს სიტუაციას და ამზადებს რევოლუციას. შენ რომ ხელისუფლება ხარ, ზომები არ უნდა მიიღო?! ხელისუფლება ვალდებულია, ამაზე ჰქონდეს ინფორმაცია და მოახდინოს პრევენცია.

***– რატომ ვერ ხდება პრევენცია?***

– იმიტომ, რომ „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას, რომლებიც ხალხის დასანახად ერთმანეთს ებრძვიან, ერთმანეთი აწყობთ. ყველა არჩევნების წინ მიშას ჩამოსვლით გვაშინებენ. თუ დააკვირდით, რა გზავნილები შემოდის?! გვეუბნებიან, რომ საქართველოს ლგბტ-საზოგადოება დაკავშირებულია მიშასთან. ლგბტ-საკითხებს აიგივებენ სააკაშვილთან. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მოახლოებასთან ერთად გაძლიერდება იდეოლოგიური დაპირისპირება „ქართულ ოცნებასა“ და ნაცმოძრაობას შორის. უნდათ, რომ შუა ისევ გაიკრიფოს.

***– „მიშა მოდის“ ყველა არჩევნების წინ გვესმის. ახლანდელი სიტუაცია უფრო მძიმე არ არის?***

– დიახ. ბოლოდროინდელი მოვლენებიც რომ არ მომხდარიყო, ეს არჩევნები ისედაც რთული იყო. ეს განპირობებულია 43%-იანი მექანიზმით. არასდროს ყოფილა, რომ თვითმმართველობის არჩევნები მიბმული ყოფილიყოს ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე. ამის გათვალისწინებით, მმართველი პარტია და ოპოზიციის ნაწილი უფრო აგრესიულები არიან.

***– აღნიშნეთ, რომ ოპოზიციამაც დაკარგა თავისი ფუნქცია. განმარტეთ.***

– 31 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ 7 თვის განმავლობაში ბარიერგადალახული ოპოზიცია არ შედიოდა პარლამენტში. ეს უკვე საკუთარ მოვალეობაზე უარის თქმაა. ეს ოპოზიცია ბევრს ხმაურობდა, მაგრამ არ აყენებდა ხალხისთვის საჭირბოროტო პრობლემებს, მაგალითად, გაზის გაძვირებასა და სხვა. ეს ოპოზიცია ორიენტირებული იყო იმაზე, რომ გაეშვა ხელისუფლება და თვითონ დაბრუნებულიყო. ნაცმოძრაობა იყო ხელისუფლებაში. ხალხს კარგად ახსოვს მისი მმართველობის წლები. ამიტომაც მის დაძახილზე არ იკრიბება. ოპოზიციას არ გამოუყენებია პარლამენტის საგამოძიებო კომისიის შესაძლებლობა იმისთვის, რომ დაემტკიცებინა არჩევნების გაყალბება. ნაცმოძრაობა გულში მჯიღს ირტყამდა, ხელისუფლებაში მოსვლას აანონსებდა, ბოლოს კი პარლამენტში შევიდა. ამ ნაბიჯებით ხალხის ნდობა ვერ მოიპოვა. ადამიანების უმრავლესობას არც ნაცმოძრაობა უნდა და არც „ქართული ოცნება“.

***– საზოგადოებაში გაჩნდა მოსაზრება, რომ აგრესიულობით ახლანდელი ხელისუფლება წინას გაუთანაბრდა. ხელისუფლებას ძალადობის წაქეზებაში ადანაშაულებენ.***

– ვინ ვისთან ათანაბრებს „ქართულ ოცნებას“, არ ვიცი. ერთი რამ არის ცალსახა – ყველაფერზე, რაც ხდება, პასუხისმგებელია ხელისუფლება. ხელისუფლებაში უნდა სცოდნოდათ, რომ 5 ივლისს დაგეგმილ ლგბტ-პრაიდს მოჰყვებოდა არასასურველი მოვლენები. ხელისუფლებას აქვს ბერკეტები, რომ ქვეყანას თავიდან აარიდოს დესტაბილიზაცია. თუ ოპოზიცია ცდილობს სტაბილურობის შელახვას, ესეც ხელისუფლების პასუხისმგებლობაა. განცხადებები იმის შესახებ, რომ მოვლენათა ამგვარ განვითარებას არ ელოდნენ, ღიმილისმომგვრელია. ბაღის მასწავლებელი ხომ არ ხარ, რომელიც არ ელოდა რთული აღსაზრდელის არაადეკვატურ საქციელს?!

***– ოპოზიციას არ აქვს საკმარისი ხმები მთავრობისთვის უნდობლობის გამოსაცხადებლად, თუმცა ამაზე მაინც აქტიურად საუბრობენ.***

– უნდობლობის გამოცხადება არ გამოვა. პარლამენტში მყოფი ოპოზიციისგან ბევრი რამ მიკვირს. განსაკუთრებით გამოვყოფდი გამოცდილ და ჩემთვის პატივსაცემ ადამიანს, პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარე დავით უსუფაშვილს.

***– მისგან უფრო გიკვირთ ოპოზიციის მოქმედებები?***

– დიახ. გამიკვირდა, რომ დავით უსუფაშვილი პარლამენტის მებოიკოტეთა რიგებში აღმოჩნდა. მას შესანიშნავად ესმის პარლამენტის საგამოძიებო კომისიის მნიშვნელობა. გაუგებარია, რომ ის არ აქტიურობდა ამ მხრივ. შესაძლოა, მას „ლელოში“ საკმარისი გავლენა არა აქვს. არ ვიცი. „ლელოს“ სხვა წარმომადგენლების აქტივობები კრიტიკას ვერ უძლებს. მაგალითად, მათ აინტერესებთ, გადაეფარებიან თუ არა პრემიერ ღარიბაშვილს უმრავლესობიდან. რომ გადაეფარონ, გასაკვირი იქნება? ეს ხომ ერთი გუნდია! სხვა ოპოზიციონერები თანამშრომლობენ ნაცმოძრაობასთან, მათ შორის, ალტერნატიული მთავრობის დაკომპლექტების საკითხებში. ეს ჩვეულებრივ ამბად მიაჩნიათ და, ღარიბაშვილი რომ თანაგუნდელმა დაიცვას, ეს აოცებთ. მთავრობის გადაყენების საკითხის დაყენება არარეალურია და არც არის ოპოზიციისათვის დივიდენდების მომტანი.

## ერთ წელიწადში ნავთობი საშუალოდ 33.5%-ით გაძვირდა — რა ღირს საწვავი საქართველოში

საერთაშორისო ბაზრებზე ნავთობზე ფასების ზრდისა და, მეორე მხრივ, ლარის მკვეთრი გაუფასურების ფონზე, ერთი წლის განმავლობაში საწვავის ფასი საქართველოში მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამას ადასტურებს სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც, უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში საწვავის საშუალო ფასი 33.5%-ით გაიზარდა.

რაც შეეხება უშუალოდ საწვავის ტიპებს: ამ ერთი წლის განმავლობაში რეგულარ 92-ის ფასი 46.7%-ით გაიზარდა და ბაზარზე მისი ღირებულება ერთ ლიტრზე საშუალოდ 2,88 ლარია. გარდა ამისა, გაზრდილია სუპერ 95-ის ფასიც, კერძოდ, ამ ერთ წელიწადში მატება 41.84% იყო. მისი საშუალო ფასი საქართველოში 2,97 ლარია.

ერთ წელიწადში 32.52%-ით გაიზარდა ფასი Premium 98-ის საწვავზე და მისმა საშუალო ფასმა დაახლოებით 3 ლარი შეადგინა. ასევე 37.23%-ით მოიმატა ფასმა დიზელის ტიპის საწვავზე და მისი საშუალო ღირებულება ერთ ლიტრზე 2,88 ლარია.

აღსანიშნავია ისიც, რომ გასული ერთი წლის განმავლობაში თხევადი გაზის (LPG) ფასი 4.34%-ით გაიზარდა და საშუალო ღირებულებამ ლიტრზე 1,35 ლარი შეადგინა. ამასთან, ერთ თვეში თხედავი გაზის ფასი შემცირების ტენდენციას ავლენდა და მისმა კლებამ 10.15% შეადგინა.

## ამირან გამყრელიძე: „ბავშვებში ინფიცირების ზრდის ტენდენცია გვაქვს“

ზოგადად, ბავშვებში ინფიცირების ზრდის ტენდენცია გვაქვს, ამიტომაც მოვუწოდებთ მშობლებს, ყველა აიცრათ, რათა ბავშვებს ინფექცია არ გადავდოთ. ზრდის ტენდენცია არის და ეს ეტყობა ჰოსპიტალური დატვირთვის მაჩვენებლებს, მაგრამ ის, რომ ყველა „დელტა“ შტამია, ნამდვილად არაა“, – ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ ჟურნალისტებს განუცხადა.

როგორც გამყრელიძემ აღნიშნა, დღეს ქვეყანაში საწოლფონდების დეფიციტი არ შეინიშნება.

„ზოგიერთ ქვეყანაში უკვე იყენებენ „ფაიზერს“ 12-დან 15 წლის ასაკში. ესენია: შტატები, კანადა, იტალია, ბრიტანეთი, მაგრამ ჯერჯერობით ისინი მცირე რაოდენობით არიან. ამ საკითხს განიხილავს ევროპის წამლის სააგენტო და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია. თუ იქნება ეს გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, საქართველო შეუერთდება. ამ ეტაპზე, ივლისსა და აგვისტოში, ეს არ იქნება.

ქვეყანაში საწოლფონდები საკმარისია ჯერჯერობით, პრობლემა არ არის. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ჩვენ 14 ათასამდე აქტიური შემთხვევა გვაქვს, საწოლფონდი საკმარისია“, – განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

## „ოცნებამ“ სააკაშვილს ძალაუფლება, შესაძლოა, ლანგრით მიართვას“



დასაწყისი მე-3 გვერდზე

– ჟურნალისტების ცემას – არა.

***– რადგან პრაიდის წარმომადგენლები გააცილეს იქაურობას, ჟურნალისტები შერჩათ ხელში თუ შეგნებულად იყო დაგეგმილი ხალხის ასაღელვებლად მათი მხრიდან, ვისაც აწყობს დღეს ხალხის გამოყვანა რიგგარეშე არჩევნების დასანიშნად?***

– თქვენ მიგაჩნიათ, რომ ალტინფოს ხელმძღვანელობა, მახარაძე და სხვები მუშაობდნენ იმაზე, რომ ხალხი აეღელვებინათ? ამას არ გამოვრიცხავ, მაგრამ, გამოვრიცხავ იმას, რომ ხელში შერჩათ ჟურნალისტები. გავრილოვის ღამის დროს რეზინის ტყვიები რომ გამოიყენეს, ფოტოკორესპონდენტ მურადოვს, რომელიც იქვე იდგა და სურათებს იღებდა, 11 რეზინის ტყვია ჩაუსვეს ზურგში, რომელიც რიგმა ტელევიზიებმა ამხილეს, მაგრამ, იმიტომ კი არა, რომ ეს ტელევიზიები ობიექტურობასა და იდეალებს ემსახურებიან, არამედ ბრძოლაა. ეს ბოლომა მე ძალიან კარგად ვიცი, ინფორმაცია მაქვს.

ბოლმა, რომელიც იყო წლების წინ „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ „დარდუბალას“ გაშვების გამო, შეჭრის მცდელობა და „იმედის“ დარბევა, რომლის შემდეგ „ნიუ იორკ თაიმსი“ წერდა: ქართველი ხალხი დიდხანს ვერ გაიგებს, რამხელა დანაშაული ჩაიდინა 2008 წლის აგვისტოში სააკაშვილმა იმის გამო, რომ ხელში ჩაიგდო სამივე ეროვნული ტელევიზიაო. იგულისხმებოდა მთელი ქვეყნის მასშტაბით, რომელი ტელევიზიებიც მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე გადასცემდნენ – პირველი არხი, „იმედი“ და „რუსთავი 2“.

ახლა მსგავსი ვითარება არ არის. ახლა პატარკაციშვილის ოჯახი ემსახურება ხელისუფლებას. პირველი არხი არის საკმაოდ ობიექტური, მაგრამ ხელისუფლებას ზომაზე მეტად არ გააკრიტიკებს, სამაგიეროდ, დანარჩენი ტელევიზიები მუშაობენ, როგორც მუშაობენ. კორუმპირებულებში შურისძიების ბოლმა ძალიან დიდია. წარმოიდგინეთ, კაცმა თავისი კორუმპირებულობით დააგროვა რამდენიმე ათეული ან ასეული მილიონი, მერე გიჟდება, ამხელა ფულის პატრონი ვარ და კიდევ ვიღაც რაღაცას მიბედავსო.

***– ეჭვი არ არსებობს, რომ შეიძლება მათ შეუშვეს აქციის მონაწილეებში მოძალადეები ხალხის ასაღელვებლად? ხალხის აღელვება ყველაზე მეტად ხომ მათ აწყობთ.***

– ერთი ორგანიზებული ჯგუფი იყო მახარაძე და მისი ჯგუფი, კარვებს რომ ეცა. ძალიან მნიშვნელოვან რაღაცას მივადექით. ეს არის ელიტებისა და კონტრელიტების ბრძოლა. ჩვენ გაგვიგია ელიტები ინტელიგენციის, ხელოვანების, აკადემიკოსების, მაგრამ აქ ლაპარაკია ფინანსური ელიტების ბრძოლაზე. ფინანსური ელიტები მოდიან იმით, რომ სწორედ კანონის დარღვევით იშოვეს ფული.

როდესაც ოპოზიცია მიტინგს მართავს და ვუყურებ, მეცინება ხოლმე – ერთიმეორეს ცვლიან უმდიდრესი ადამიანები, მილიონერები და მულტიმილიონერები. ზოგი ბანკირია, ზოგი – არაბანკირი. ზოგი სააკაშვილის თანამზრახველი და მისი ბინძური დავალებების შემსრულებელია. მის შემდეგ გამოდის ქალბატონი, რომელსაც სააკაშვილმა სამთავრობო დაცვის სპეციალური სამსახურის ბიუჯეტიდან ათიათასობით ლარი დაახარჯა სამკაულებისა თუ ძვირფასი ტელეფონების საყიდლად.

***– ვის გულისხმობთ?***

– რა მნიშვნელობა აქვს. მაშინ ამ ქალზე დახარჯა ფული. სააკაშვილი უანგაროდ ხომ არ დახარჯავდა ფულს. გახსოვთ, ალბათ, სააკაშვილმა კონსტიტუცია რომ შეცვალა, რათა 20 წლის ქალი პარლამენტში შეეყვანა. ასეთები დგანან ტრიბუნასთან და ხალხს მოძღვრავენ.

***– რა პროგნოზი გაქვთ?***

– ხალხი აღელვებულია, მაგრამ მთავარია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. ამ მდგომარეობაში ევროკავშირისა და აშშ-ის დახმარების გარეშე წარმოუდგენელია საქართველოს ეკონომიკისა და ბიუჯეტის გადარჩენა. ისეთი უარყოფითი შეფასებები, რაც გაირკვა ევროპისა და ამერიკიდან, ჩვენი მეგობრების მხრიდან, აქამდე არ ყოფილა. შარშან, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, იყო მომენტი, როცა „ოცნებამ“ დასავლეთთან ურთიერთობაში მთლიანად, დამაჯერებლად გაიმარჯვა,

მაშინ გაოგნებული ამერიკის ელჩი ამბობდა, რომ ყველაფერი გაკეთდა, რის გაკეთებაც შეიძლებოდა და, თუ ბატონ მელიას პრინციპულად უნდა, ციხეში იჯდეს, ეს უკვე მისი საქმეაო. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლები ამბობდნენ, არ გვინდა ნანახი კინოს ყურება, არჩევნები ჩატარდა და ლეგიტიმურიაო. ოპოზიციამ არავითარი საბუთები არ წარმოადგინა, თუ გაყალბდაო. ოპოზიციას მოუწოდებდნენ, პარტიულ ინტერესებზე მაღლა ქვეყნის ინტერესები დაეყენებინათ.

***– ახლა ღარიბაშვილს გადადგომას აიძულებენ?***

– მაშინ მელიას იდიოტიზმის გამო მოხდა გარდატეხა. ახლა მათგან, ვინც ქართველ ერს ეხმარება, უკვე ისმის პირდაპირი განცხადებები. კელი დეგნანი ზუსტად ატარებს ამერიკის ადმინისტრაციის ხაზს.

***– ანუ რიგგარეშე არჩევნებს უნდა ველოდოთ თუ ხელისუფლება შეძლებს ადგილობრივ არჩევნებამდე სიტუაციის მიყვანას?***

– ადგილობრივ არჩევნებამდე სიტუაციის მიყვანა შეიძლება შეძლოს, მაგრამ 43%-ს დააგროვებს?

***– რომ დააგროვოს?***

– 43% რომ დააგროვოს, კონტრელიტები, სააკაშვილის ბრძანებით, სააკაშვილის ხროვა ყველა შემთხვევაში არჩევნებს გაყალბებულად გამოაცხადებენ. „ოცნებამ“ 43% რომ ვერ დააგროვოს, მაგრამ 40% დააგროვოს, ნაცები მაინც იყვირებენ, 40%-ც გაყალბებულიაო და ყველა შემთხვევაში ქუჩაში ხალხის გამოყვანას შეეცდებიან.

***– გამოსავალი რა არის?***

– გამოსავალი არის, თუ ხელისუფლებაში, „ოცნების“ გუნდში (სადაც ცნობილია, რომ ღარიბაშვილი არ უნდოდათ პრემიერად, რაც პრესაში დაიბეჭდა, მაგრამ ივანიშვილის სიტყვამ გაჭრა და ისევ ღარიბაშვილი ჯობიაო) მოილაპარაკებენ, ივანიშვილს დაითანხმებენ (ამაზე თბილისში ლაპარაკი უკვე არის, რომ თვითონ ივანიშვილს აღარ უნდა ღარიბაშვილი ამ სიტუაციაში), ცვლილებას განახორციელებენ და შეძლებენ უცხოეთთან – ამერიკასა და ევროკავშირთან – ურთიერთობის აღდგენას, დახმარებაც არ შეწყდება, ანდა თავისი იდიოტიზმების კასკადის საშუალებით „ოცნება“ აჩუქებს სააკაშვილს ძალაუფლებას ლანგრით. ეს არის უბედურება.

# ლექსო ლაშქარავას სიკვდილი მისმა ცემამ განაპირობა?

## ექსპერტი გეჯაძე: „ეს მთავარი კითხვაა“

დამოუკიდებელი ექსპერტის ალექსანდრე გეჯაძის განცხადებით, ყველაზე მთავარი და რთული კითხვაა, გარდაიცვლებოდა თუ არა ლექსო ლაშქარავა თუნდაც ნარკოტიკული ნივთიერების შესაძლო მოხმარების გამო, სასტიკად ნაცემი და ჯანმრთელობაშელახული რომ არ ყოფილიყო.

აღნიშნულის შესახებ გეჯაძემ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა.

დამოუკიდებელი ექსპერტის განმარტებით, ლექსო ლაშქარავას საქმეზე შესაძლოა, სამედიცინო კომისია შეიქმნას.

– ჩემი მოსაზრებაა, რომ კომისია შეიქმნას, ვნახოთ, როგორ წამოვა გამოძიება, არ მგონია, გამოძიება სპეციალისტების, ვისაც მე პირადად მოვითხოვ, ჩართვაზე წინააღმდეგი იყოს... ამ ეტაპზე ექსპერტიზისთვის დასმული ყველა კითხვა მნიშვნელოვანია, შესაძლოა, შეკითხვები დამატებით გაიზარდოს. გამოძიების მიერ დასმულია კითხვები, თუ რა დაზიანებები აღენიშნება ცხედარს, რა არის სიკვდილის მიზეზი, ამ დაზიანებებს შეეძლო თუ არა გამოეწვია სიკვდილი, ხომ არ ჰქონდა მიღებული ნარკოტიკული, ფსიქოტროპული ან მომწამვლელი ნივთიერება და ხომ არ აქვს ადგილი მომწამვლელ ზემოქმედებას, ასევე პასუხი უნდა გაეცეს სიკვდილის ხანდაზმულობას, – აცხადებს გეჯაძე.

კითხვაზე, გარდაიცვლებოდა თუ არა ლექსო ლაშქარავა თუნდაც ნარკოტიკული ნივთიერების შესაძლო მოხმარების გამო, სასტიკად ნაცემი რომ არ ყოფილიყო, ექსპერტი პასუხობს, რომ ეს ყველაზე მთავარი კითხვაა, რომელსაც პასუხი უნდა გაეცეს.

– ეს არის ზუსტად ის საკითხი, რაზეც მოსაწვევი იქნება ალბათ, ტოქსიკოლოგი, ნარკოლოგი, შესაძლებელია, ფარმაკოლოგი, ნევროპათოლოგი და ამაზე ერთად, კომისიურ ფორმატში უნდა ვიმსჯელოთ. რაც თქვენ დამისვით, ეს არის ყველაზე მთავარი, რთული შეკითხვა, რომელსაც პასუხი უნდა გაეცეს. მანამდე ველოდებით შინაგანი ორგანოების ჰისტოპათომორფოლოგიური, ჰისტოქიმიური კვლევის შედეგებს. ეს შედეგები რომ გვექნება და გამოყოფილი იქნებიან დამატებით კომისიის წევრები, ვიწრო პროფილის ექიმ-კლინიცისტებს ვგულისხმობ, მერე დავსხდებით ყველა და ვიმსჯელებთ.

ამ ექსპერტიზის ფარგლებში ჯერ ველოდებით ლაბორატორიული კვლევის შედეგებს, მერე გადაწყდება, როგორ ვიქცევით – ამ ექსპერტიზის ფარგლებშივე მოვიწვევთ ამ სპეციალისტებს, თუ ვიტყვით, რომ სიკვდილის მიზეზს ვერ ვადგენთ ამ ეტაპზე და დასადგენად საჭიროა სპეციალისტების მოწვევა და ერთობლივ რეჟიმში მუშაობის გაგრძელება, – აცხადებს გეჯაძე.

მისივე თქმით, ასევე უნდა დადგინდეს, თუ რა ურთიერთზეგავლენა აქვს იმ პრეპარატებს, რომლებიც ლაშქარავას, შესაძლოა, მიღებული ჰქონდა.





– პასუხი უნდა გაეცეს, ჯერ ის ნარკოტიკული ნივთიერებები ერთმანეთთან როგორ ურთიერთდამოკიდებულებაში არიან, როგორ აძლიერებენ ეფექტს, ტრავმის შემდეგი სისხლი, რბილი ქსოვილების, კუნთების, თვალბუდის შეშუპება, მას რა გართულებების გამოწვევა შეეძლო, ამ გართულებებს ნარკოტიკების მიღების შემთხვევაშიც კი ურთიერთზემოქმედების თვალსაზრისით შეეძლო თუ არა ერთობლიობაში გამოეწვია დამდგარი შედეგი და ა.შ. საკმაოდ ბევრი საკითხია გასარკვევი.

ჩვენ გვაინტერესებს, პრეპარატებს, რაც მას ჰქონდა მიღებული, რა ურთიერთზეგავლენა აქვთ ერთმანეთზე, აძლიერებენ, თუ ასუსტებენ გარკვეულ მოვლენებს ორგანიზმში, თუ პირიქით. შესაბამისად, მნიშვნელობა აქვს, სიკვდილის დროს, ხანდაზმულობას, – აცხადებს გეჯაძე.

მისივე თქმით, ექსპერტიზის საბოლოო შედეგებს არანაკლებ ერთი თვე დასჭირდება.

# მოსამართლეები „კლანისა“ და ხელისუფლების გარიგების შედეგად დაინიშნენ

## საიას განცხადება

უზენაეს სასამართლოში მოსამართლეები „კლანისა“ და ხელისუფლების გარიგების შედეგად დაინიშნნენ, – ამის შესახებ ნათქვამია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ განცხადებაში.

როგორც ორგანიზაციაში აღნიშნავენ, 2021 წლის 17 ივნისს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ პარლამენტს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის 9 კანდიდატი წარუდგინა, მმართველმა ძალამ არ გაითვალისწინა, როგორც საერთაშორისო პარტნიორების, ისე ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების მოწოდებები და სასამართლოს მიმართ ნდობის კრიზისის პირობებში დაიწყო საკასაციო ინსტანციის მოსამართლეთა დანიშვნის პროცედურები.



„კანდიდატების მოსმენის პროცესში გამოქვეყნდა ეუთო-ოდირის შეფასება, სადაც მიმდინარე პროცესის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსმენების ეტაპია განხილული და სადაც წერია, რომ კანდიდატები პარლამენტს წარედგინა სასამართლოს დამოუკიდებლობისადმი საზოგადოების დაბალი ნდობის პირობებში. დასკვნის მიხედვით, ამავე ეტაპზე კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა პროცესების სამართლიანობა და თანასწორობა. პროცედურული წესები, რომლებიც უშუალოდ მოსმენების დაწყებამდე შემუშავდა, არაადეკვატური იყო და ვერ უზრუნველყო თანმიმდევრულობა და სამართლიანი პირობები.

6 ივლისს პარლამენტის იურიდიულმა კომიტეტმა კანდიდატების მოსმენები დაიწყო. საკომიტეტო მოსმენებზე კანდიდატებისთვის დასმული კითხვები ეხებოდა როგორც სამართლებრივ, ისე ღირებულებით საკითხებს, სამუშაო გამოცდილებასა და მოსამართლე კანდიდატთა მიერ წარსულში განხილულ საქმეებს. კანდიდატთა ნაწილი ზოგიერთ შემთხვევაში ვერ პასუხობდა მარტივ სამართლებრივ შეკითხვებსაც კი. ერთ-ერთმა კანდიდატმა უარი განაცხადა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემაზე. ეს დამოკიდებულება არა მხოლოდ პარლამენტის, როგორც ინსტიტუტის, არამედ, ზოგადად, პროცესის მიმართ უპატივცემულობის გამომხატველია და უარყოფით შეფასებას იმსახურებს.

ერთ-ერთი მთავარი ხაზი, რომელიც მოსამართლედ დანიშნული პერსონების მსჯელობას აერთიანებდა, სასამართლო სისტემაში არსებული ფუნდამენტური პრობლემების მიმართ კრიტიკის არარსებობა და მეტიც, მისი ინსტინქტური უარყოფა იყო. მათი უდიდესი ნაწილის აზრით, მართლმსაჯულების სისტემის მთავარი გამოწვევა ის კრიტიკაა, რომელიც სამოქალაქო სექტორიდან მოდის. კანდიდატთა ნაწილი ფიქრობს, რომ საერთაშორისო მასშტაბით კლანური მმართველობის აღიარება ცალმხრივი ინფორმაციის ან სასამართლოსთან ნაკლები კომუნიკაციის შედეგია.

მიუხედავად კანდიდატების კომპეტენციასთან და კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებული კითხვებისა, იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა კონკურსის მონაწილეთა ნაწილს რეკომენდაცია გაუწია. თავის მხრივ, პლენარულმა სესიამ სრულად გაიზიარა რეკომენდაციები და თანამდებობაზე 6 მოსამართლე დანიშნა. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, ისიც რომ თანამდებობაზე გამწესდნენ მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის – კლანისადმი ლოიალური პირები და მათი ლიდერები. გადაწყვეტილება არ დაეფუძნა პარტიათა შორის ფართო კონსენსუსს, რაც მომავალში უარყოფითად აისახება სასამართლოს მიმართ ნდობაზე. მმართველმა ძალამ არ გაითვალისწინა კონტექსტი, პარტნიორების მოწოდებები და ექსპერტული შეფასებები, რითაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა სასამართლოს დამოუკიდებლობას, გაამყარა მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის, კლანის პოზიციები უზენაეს სასამართლოში და კიდევ უფრო დააშორა მართლმსაჯულების სისტემა გაჯანსაღების პერსპექტივას“, – ნათქვამია განცხადებაში.

# ადვოკატი ბექა თაკალანძე: „შსს-ს ლექსო ლაშქარავას დისკრედიტაცია სურს“



– კითხვები ჩნდება იმასთან დაკავშირებით, როგორ მოახერხა შსს-მ ათეულობით მოწმის ჩვენებისა და 70-მდე ვიდეოს მოპოვება არასრულ ორ დღეში.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ „ტვ პირველის“ გარდაცვლილი ოპერატორის ლექსო ლაშქარავას ოჯახის ადვოკატმა ბექა თაკალანძემ განუცხადა.

– გავრცელებულ ვიდეოებზე შსს ამბობს, რომ სხვადასხვა კერძო დაწესებულებებიდან ამოღებული ვიდეოებია და მოწმეთა ჩვენებებით მოხდა მარშრუტის აგება, თუმცა, ეს საჯაროდ გაცხადებული პოზიციაა, საქმეში რა არის, დეტალურად არ ვიცი.

გაუგებარია, რა მიზანს ემსახურებოდა ამ ვიდეოების ამ ფორმით გავრცელება, როცა ჯერ კიდევ ამ საკითხებზე ექსპერტიზები მიღებული არ არის. საქმეში შუალედური დასკვნები არ არსებობს, ვერ წარმოვიდგენ, რა ფორმით შეიძლება იყოს ახლა შუალედური დასკვნა საქმეში. ვთქვათ, პირველი დაკვირვებით, ნარკოტიკული ნივთიერებები იყო ორგანიზმში, რას ნიშნავს ეს, რომ ეს გახდა გარდაცვალების მიზეზი? ეს ხომ კომპლექსურად უნდა გახდეს შეფასების საგანი? ასე ზედაპირულად, ცალმხრივად რაღაც საკითხები არ უნდა იყოს შეფასებული, ვიდრე ექსპერტიზის დასკვნა არ იქნება, შედეგებს უნდა დაველოდოთ და ასე ცალმხრივად ინფორმაციები არ უნდა ვრცელდებოდეს. პირველ დღესაც და მერეც ვიდეოები გაავრცელეს, რა უნდა იფიქრო, თუ არა ის, რომ მათ სურდათ საზოგადოების აზრის წინასწარ ფორმირება და ადამიანის დისკრედიტაცია. გაუგებარია, თავიდანვე ზედოზირების ვერსიას რატომ განიხილავდნენ, პრაქტიკულად ცდილობენ, რაღაც ფორმით 5 ივლისთან დაკავშირებული დაზიანებების კვალის საბოლოოდ გაწყვეტას, – აცხადებს თაკალანძე.

ის ასევე გამოეხმაურა გარდაცვლილის სახლიდან ცხედრის ექსპერტიზის ბიუროში გადასვენებას და იმ ფორმას, როგორც ეს განხორციელდა.

– გამომძიებლის დადგენილება შესასრულებლად სავალდებულოა, თუმცა, ცხედრის ასე და ამ ფორმით გადაყვანა აბსოლუტურად გაუგებარია, რა მიზანს ემსახურებოდა, – აცხადებს ადვოკატი.

# საზმაუს ოპერატორზე თავდასხმისთვის 1 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტრომ 5 ივლისს „თბილისი პრაიდის“ საწინააღმდეგო აქციის მონაწილე კიდევ ერთი პირი საზოგადოებრივი მაუწყებლის ოპერატორზე თავდასხმის ფაქტზე დააკავა. აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ინფორმაციით, დანაშაულში მონაწილე სხვა პირთა დადგენა-დაკავების მიზნით საგამოძიებო-ოპერატიული ღონისძიებები გრძელდება.





„შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში ძალადობის მუქარით, უკანონოდ ხელის შეშლის, ძალადობითა და ძალადობის მუქარით დევნის, ასევე, ჯგუფური ძალადობის ფაქტებზე კიდევ 1 პირი – 1992 წელს დაბადებული გ.მ. დააკავა.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 5 ივლისს თბილისში, რუსთაველის გამზირზე, „თბილისი პრაიდის“ საწინააღმდეგოდ გამართული აქციის მიმდინარეობის დროს ბრალდებულმა გ.მ.-მ საზოგადოებრივი მაუწყებლის ოპერატორს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს. დანაშაულში მონაწილე სხვა პირთა დადგენა-დაკავების მიზნით გრძელდება საგამოძიებო-ოპერატიული ღონისძიებები“, – ნათქვამია უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# სააკაშვილის დაცვის ყოფილ წევრსა და უკრაინის 2 მოქალაქეს 4 წელი მიესაჯათ



ბათუმის საქალაქო სასამართლომ საზღვრის უკანონო კვეთის ბრალდებით დაკავებულ უკრაინის ორი მოქალაქეს, ვოლოდიმირ დიაჩენკოსა და იური ხომიჩს, ასევე მიხეილ სააკაშვილის დაცვის ყოფილ წევრს მიხეილ ბატურინს ოთხწლიანი პატიმრობა მიუსაჯა.

გადაწყვეტილება მოსამართლე დავით მამისეიშვილმა გუშინ, 14 ივლისს, გამოაცხადა.

დაკავებულების უფლებადამცველების თქმით, ისინი სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას გეგმავენ.

ადვოკატებმა განაცხადეს, რომ აღნიშნული პირები „ქართული ოცნების“ მძევლები არიან. მათივე თქმით, ისინი საქართველოს ტერიტორიულ წყლებში მშვიდობიანი გავლის უფლებით იმყოფებოდნენ, რაც ნებადართულია ნებისმიერი არასამხედრო გემისთვის.

ადვოკატების მტკიცებით, ისინი შეაჩერეს და ყოველგვარი განმარტების გარეშე უკანონოდ დააკავეს.

– მოსამართლე მამისეიშვილმა, რომელსაც რთულია, უწოდო მოსამართლე, ეს არის ხელისუფლების ნების უპირობო შემსრულებელი, მიიღო გადაწყვეტილება და გაამტყუნა უკრაინელი მეზღვაურები და სახელმწიფო დაცვის მაიორი მიხეილ ბატურინი სრულიად აბსურდულ ბრალდებაში.

ჩვენ მოსამართლეს დავუსვით კითხვა, რომელ ნორმაზე დაყრდნობით იღებდა უკანონო გადაწყვეტილებას, მისი პასუხი იყო, დაგვეტოვებინა დარბაზი. ეს არ იყო სასამართლო პროცესი, თავიდან ბოლომდე ფარსი იყო. მამისეიშვილი მურუსიძე-ჩინჩალაძის კლანის ერთ-ერთი წარმომადგენელია ამ რეგიონში. საქმე თავიდან ბოლომდე პოლიტიკურად მოტივირებულია, ჩვენ სამართლებრივ პროცედურებს მივმართავთ. მათი გათავისუფლება ხელისუფლების გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული და არა მართლმსაჯულებაზე, რადგან ილღიაშია მართლმსაჯულება ამოღებული, – განაცხადა ბექა ბასილაიამ.

# რუსთავში 1 მამაკაცი მოკლეს, 1 დაჭრეს

რუსთავში ახალგაზრდა მოკლეს.

თოდრიას ქუჩაზე ახალგაზრდა მამაკაცებს შორის კამათი ჩხუბში გადაიზარდა.

ფიზიკური დაპირისპირების შემდეგ ერთ-ერთმა მამაკაცმა დანით ჭრილობები მიაყენა 2 მამაკაცს. 27 წლის ახალგაზრდა ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო 26 წლის მამაკაცი დაიჭრა. ის კლინიკა „რუსთავში“ გადაიყვანეს.

დაჭრილი პაციენტის მდგომარეობა მძიმეა. მას გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა.

კლინიკა „რუსთავის“ ქირურგ დავით ტაბატაძის თქმით, პაციენტი მკურნალობას რეანიმაციულ განყოფილებაში აგრძელებს.

– პაციენტი შემოსულია მუცელში შემავალი ჭრილობით. ამ დროისთვის მისი მდგომარეობა შეესაბამება გადატანილი ოპერაციის სირთულეს. სტაბილურია, მაგრამ მძიმეა. უგრძელდება რეანიმაციულ განყოფილებაში მკურნალობა. დამატებით ქირურგიულ ჩარევას არ საჭიროებს, – განაცხადა ექიმმა.

შემთხვევის ადგილზე მობილიზებული იყო კრიმინალური პოლიციისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების რამდენიმე ეკიპაჟი.

რუსთავში მომხდარი მკვლელობისა და დაჭრის ფაქტზე პოლიციამ 2 პირი დააკავა.

ამის შესახებ შსს-ს განცხადებაშია ნათქვამი:

„შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ორი პირი – 2001 წელს დაბადებული ნ.დ. და 1986 წელს დაბადებული გ.ჩ. დააკავეს.

ნ.დ.-ს ბრალად ედება განზრახ მკვლელობა და ორი ან მეტი პირის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობა, გ.ჩ.-ს კი – განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობა.

გამოძიებით დადგინდა, რომ ნ.დ.-მ ქალაქ რუსთავში, თოდრიას ქუჩაზე, ურთიერთშელაპარაკებისას ცივი იარაღის გამოყენებით დაჭრა 1994 წელს დაბადებული გ.ბ. და ამავე წელს დაბადებული გ.ა., რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან თანმხლებ პირთან – გ.ჩ.-სთან ერთად მიიმალა. დაჭრილი გ.ა. საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა, ხოლო გ.ბ.-ს შესაბამისი მკურნალობა უტარდება.

გ.ჩ.-მ მომხდარი ფაქტის შესახებ პოლიციას არ შეატყობინა.

განზრახ მკვლელობის, ასევე, ორი ან მეტი პირის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობის მცდელობისა და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 108-ე, 19-109-ე მუხლებითა და 376-ე მუხლის მეორე ნაწილით მიმდინარეობს“.

## ვლადიმერ ზელენსკი ანგელა მერკელს შეხვდა



ბერლინში ჩასული უკრაინის პრეზიდენტი კანცლერ მერკელს შეხვდა. მერკელისათვის ეს კანცლერის რანგში ზელენსკისთან უკანასკნელი შეხვედრა იყო. საუბარი შეეხებოდა „ჩრდილოეთის ნაკად 2"-ს, დონბასში მშვიდობის აღდგენას, უკრაინისათვის გერმანული იარაღის მიყიდვას, ვაქცინაციას.

პრესკონფერენციაზე მერკელმა განაცხადა, რომ გერმანია მუდამ უკრაინის ერთგული იყო და ეს მომავალშიც გაგრძელდება.

– უკრაინა ჩვენი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პარტნიორია, – თქვა მერკელმა.

მიუხედავად ამისა, არც ერთ პრინციპულ საკითხზე შეთანხმებები არ ყოფილა მიღწეული. „ჩრდილოეთის ნაკად 2"-თან დაკავშირებით ზელენსკიმ თავისი ნეგატიური დამოკიდებულება კიდევ ერთხელ დააფიქსირა. მან თქვა, რომ ამით უკრაინის ტერიტორიაზე გაზის ტრანზიტს საფრთხე შეექმნება. ამით იზრდება რუსეთის ფართომასშტაბიანი ინტერვენციის რისკი. პრეზიდენტმა იმ ეკონომიკურ დანაკარგსაც გაუსვა ხაზი, რომელსაც უკრაინა ტრანზიტის დაკარგვის შედეგად მიიღებს.

მერკელმა ამაზე მიუგო, რომ უკრაინისთვის ტრანზიტი უნდა შენარჩუნდეს. ეს მას შემდეგ მოხდება, რაც „ჩრდილოეთის ნაკადი 2" ამოქმედდება. მიუხედავად ამისა, კონკრეტული შეთანხმებები ამ მხრივ არ ყოფილა მიღწეული.

მერკელმა ცალსახად დააფიქსირა თავისი ნეგატიური დამოკიდებულება უკრაინისთვის იარაღის მიწოდებასთან დაკავშირებით. ზელენსკის შეხვედრა გერმანიის თავდაცვის მინისტრ კრამპ-კარენბაუერთან არ შედგა. მერკელმა სინანული გამოთქვა დონბასში უკრაინელი სამხედროების დაღუპვის გამო, ამავე დროს, შენიშნა:

– უკრაინა მოვალეა, რომ შტაინმაიერის ფორმულის საფუძველზე კანონმდებლობა შეცვალოს. ამის შემდეგ დონბასში მშვიდობის დამყარების ალბათობა გაიზრდება.

ზელენსკიმ ამას უარყოფითად უპასუხა. მან ხაზი გაუსვა, რომ შტაინმაიერის ფორმულა ოკუპაციის პირობებში არჩევნების ჩატარებას გულისხმობს, რაც მიუღებელია.

– არჩევნები თავისუფალი და დემოკრატიული უნდა იყოს. ოკუპაციის პირობებში კი ეს შეუძლებელია, – თქვა ზელენსკიმ.

სამაგიეროდ, უკრაინისთვის კოვიდ 19-ის ვაქცინის მიწოდებაში შეთანხმების მიღწევა მოხერხდა. მერკელმა განაცხადა, რომ მზადაა, უკრაინას მილიონ-ნახევარი დოზა ვაქცინა მიაწოდოს.

## ისრაელმა ღაზის სექტორში ჰამასს დაარტყა

ისრაელმა ღაზის სექტორში მდებარე „ჰამასის" სამხედრო ობიექტებზე ავიაიერიში განახორციელა.

ისრაელის თავდაცვის ძალებში აცხადებენ, რომ ისინი ყველა სცენარისთვის მზად არიან. მათი განმარტებით, იერიში პალესტინის მხრიდან ისრაელის ტერიტორიის მიმართულებით სპეციალური, ცეცხლგამჩენი ბურთების გაშვების საპასუხო ქმედებაა.

ისრაელმა ღაზის სექტორის წინააღმდეგ ავიაიერიში რამდენიმეჯერ განახორციელა მას შემდეგ, რაც ეგვიპტის შუამავლობით გაფორმებული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შედეგად ისრაელსა და „ჰამასს" შორის 11-დღიანი შეიარაღებული კონფლიქტი დასრულდა.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

## მერაბ ნინიძე კანის კინოფესტივალზე არ ახსენეს



კინომცოდნე გოგი გვახარია აცხადებს, რომ ქართველი მსახიობი მერაბ ნინიძე კანის კინოფესტივალზე არ ახსენეს:

– გერმანი-უმცროსის ფილმი ქართველ პროფესორზე, რომელიც რუსეთის პატარა ქალაქის მერს კორუფციაში ამხელს, იმდენად ცუდია, იმდენად სავსეა კლიშეებითა და საბჭოთა-ინტელიგენტური უხამსობებით, რომ მთავარი როლის შემსრულებელი მერაბ ნინიძე... კანში არ ჩამოვიდა, გადამღებმა ჯგუფმა კი ყველას გადაუხადა მადლობა, გარდა... მთავარი როლის შემსრულებლისა. მერაბი არც უხსენებიათ.

## მიხეილ ზაქარიაშვილი პარლამენტარებს მიმართავს

მომღერალი მიხეილ ზაქარიაშვილი „ოცნების" პარლამენტარებს მიმართავს:

– ძვირფასო „ოცნების" პარლამენტარებო, მინდა გაგაფრთხილოთ, სიტყვებს დაუფიქრდით, ხალხს ნუ აღიზიანებთ, ნუ ბლატაობთ, ცოტა ადამიანურად მოიქეცით, თორემ, ერთხელაც იქნება, ხალხს ამოუვა ყელში და ქუჩაში ველარ გაივლით, მოვლენ და დაგინგრევენ მაგ სასახლეებს და გაგძუყნიან ქუჩაში ისე, რომ დაგეკარგებათ სიცოცხლის ხალისი!



ასევე უღირს მამაოებს მინდა ვუთხრა, ფრთხილად იყავით, ეგ წვერები არ მოგპარსოთ ხალხმა, ჭკუას მოუხმეთ, თორემ თქვენც იგივე მოგივათ, ამაყად რომ დადიხართ, ხელშეუხებელი რომ გგონიათ თქვენი თავი, ხალხი პატივს რომ გცემთ, იკარგება უკვე ეგ პატივისცემა, ძმაო და უფრთხილდით ხალხის რისხვას! ძალიან ამოუხვედით უკვე ხალხს ყელში თქვენი მიწებითა და ფულებით, თქვენი არაქრისტიანული მოქცევით! მე გაგაფრთხილეთ, აწი თქვენ იცით.

## გიორგი გიგაშვილი კონცერტს გარდაცვლილ ოპერატორ ლექსო ლაშქარავას მიუძღვნის



21 ივლისს პიანისტი გიორგი გიგაშვილი კონცერტს გამართავს და მას გარდაცვლილ ოპერატორ ლექსო ლაშქარავას მიუძღვნის:

– შეიძლება უდროოა, მაგრამ ჩვენ, არტისტებს, შეგვიძლია, ჩვენივე საქმიანობით დავამტკიცოთ ჩვენივე პოზიცია.

დიდი ფიქრის შემდეგ, უადგილო იქნებოდა თუ არა, გადავწყვიტე, ჩემი კონცერტი 21 ივლისს ახალ თეატრში მივუძღვნა გარდაცვლილი ლექსო ლაშქარავას ხსოვნას.

ყველა, ვისაც შეგიძლიათ მოსვლა, მოდით და უდიდესი კომპოზიტორის, ალფრედ შნიტკეს, საფორტეპიანო კონცერტის სიჩუმეში ამოიცანით საკუთარი გულისა და სულის ხმა. მისი მძვინვარე მუსიკის მოსმენისას კი მუსიკასთან ერთად გამოხატეთ თქვენი სათქმელი გულში.

რაღაც აუცილებლად გამოგვივა ერთად.

## ზურა ხაჩიძე: „ის, რაც ხდება, ანტისახელმწიფოებრივი ქმედებაა"



მომღერალი ზურა ხაჩიძე აცხადებს, რომ ის, რაც ქვეყანაში ხდება, ანტისახელმწიფოებრივი ქმედებაა:

– ეს რაც ხდება, არის ანტისახელმწიფოებრივი ქმედება და ქვეყნის მტრობა. ამდენი დროის განმავლობაში რყევას ვერც ერთი ქვეყანა ვერ გაუძლებს და მართლა ჩამოიქცევა ეს ჩვენი სამშობლო.

არც პრემიერი და არც შინაგან საქმეთა მინისტრი არ უნდა გადადგნენ! გამოძიებული უნდა იყოს ყველა კანონის დარღვევა! პასუხი უნდა აგოს ყველა დამნაშავემ, პროვოკატორმა და ქვეყნის გარე მტერმა!

ყველას გაფრთხილებთ, ვინც ჩემს მეგობრებში ხართ, პატრიარქისა და ეკლესიის გინებას არ გაპატიებთ, ამიტომ წაიშალეთ თავი, სანამ მე დაგერიეთ. ყველაფერს ხედავს საზოგადოება და ყველაფერს თავის სახელს დარქმევს! ნუ იწვევთ საქართველოს მოსახლეობას! კიდევ ერთხელ ვუსამძიმრებ ლექსოს გარდაცვალებას ყველას!

## პიანისტი ნანა დიმიტრიადი გარდაიცვალა



ცნობილი ქართველი პიანისტი, საქართველოს სახალხო არტისტი, თბილისის კონსერვატორიის ემერიტუსი ნანა დიმიტრიადი 89 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ხელოვანმა თბილისის კონსერვატორიის დასრულების შემდეგ მთელი თავისი ცხოვრება მის უდიდებულესობა მუსიკას მიუძღვნა. იყო კონსერვატორიის საფორტეპიანო კათედრის კონცერტმაისტერი, პედაგოგი, დოცენტი, პროფესორი, ემერიტუსი.

ნანა დიმიტრიადი აქტიური საკონცერტო მოღვაწეობით გამოირჩეოდა, ხშირად უკრავდა დუეტში პიანისტ ნანა ავალიშვილთან ერთად, მართავდა კონცერტებს სულხან ცინცაძის სახელობის სახელმწიფო სიმებიან კვარტეტთან ერთად.

„ხეივნის ბოლო და ისევ სევდა" – ასე ჰქვია მის აუდიოალბომს, რომელიც პიანისტმა ჩაწერა და მასში გააერთიანა იმპროვიზაციები პოპულარული კინოფილმების მელოდიებზე.

## ერლომ ახვლედიანის შვილს გულის გადანერგვა ესაჭიროება



მწერლისა და სცენარისტის ერლომ ახვლედიანის შვილს, ბაქარ ახვლედიანს, გულის გადანერგვა ესაჭიროება. იმისთვის, რომ ბაქარმა სიცოცხლე განაგრძოს, 100.000 დოლარის მობილიზებაა საჭირო. მდგომარეობა საგანგაშო და სასწრაფოა.

მისმა მეგობრებმა სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიება ჩაატარეს, თუმცა საკმარისი თანხის შეგროვება ვერ მოხერხდა, ამიტომ ბაქარს საზოგადოების დახმარება თუნდაც 1 ლარით ძალიან წაადგება.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## ასტროპროგნოზი

### 15 ივლისისათვის



**ვერძი** – ეს დღე საინტერესო ნაცნობობას გიქადით. იზრუნეთ საკუთარი პროფესიონალიზმის სრულყოფაზე. **კურო** – ბედი გწყალობთ. გარშემომყოფებთან ჰარმონიული ურთიერთობა გაქვთ. ერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას. **ტყუპები** – მატერიალურ მდგომარეობას არ უჩივით. შესაძლოა, ხელსაყრელი შემოთავაზებაც მიიღოთ. ნუ დაწვრილმანდებით. **კირჩხიბი** – თავს მხნედ გრძნობთ. განეწყვეთ ოპტიმისტურად. კამათში ნუ ჩაერთვებით. **ლომი** – შესაფერისი დღეა საქმიანი კონტაქტებისათვის, საყოფაცხოვრებო პრობლემების მოსაგვარებლად. ძველ მეგობარს აუცილებლად შეეხმიანეთ. **ქალწული** – ვარსკვლავები გმფარველობენ. ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. ჰარმონიული და მშვიდი დღეა. **სასწორი** – იმედიანად ხართ. ბედი არ გიმტყუნებთ. კარგი იქნება ფიზიკური დატვირთვა, ფეხით სეირნობა. **ღრიანკალი** – დაძაბული პოლიტიკური მდგომარეობა თქვენს ფსიქიკაზეც მოახდენს გავლენას. ბედს მიენდეთ. ვერაფერს შეცვლით. **მშვილდოსანი** – თქვენი მომხიბვლელობის წყალობით მრავალი ადამიანის გულს მოინადირებთ. პირად ცხოვრებაში მოულოდნელი ცვლილებები მოხდება. **თხის რქა** – კეთილისმყოფელი პერიოდი გიდგათ. ახალი ინფორმაციის გამო, შესაძლოა, გეგმები შეგეცვალოთ. **მერწყული** – გიმახვილდებათ ინტუიცია. შეგიძლიათ, სამომავლო გეგმები თამამად დასახოთ. არ მოტყუვდებით. **თევზები** – სასიცოცხლო ენერგია გემატებათ. საკუთარი ძალების იმედი იქონიეთ. გაუფრთხილდით ოჯახურ ურთიერთობებს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

კბილის ექიმი:

– არ შეგეშინდეს, გივი, პირველად ყველაფერი შეიძლება მოხდეს!

პაციენტი:

– ექიმო, მე გივი არ მქვია!

– ვიცი, გივი მე ვარ.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ისწავლა შენმა ცოლმა მანქანის ტარება?

– საჭესთან რომ ჯდება, ნავიგატორი მისთვის გზის სწავლების მაგივრად მამაო ჩვენოს კითხვას იწყებს...

●●●

შვილი მამას ეუბნება:

– მამა, წუხელის სიზმარში 500 ლარი მაჩუქე!

– დაიტოვე, შვილო, შენი იყოს!

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## მალამო მენტორი პირველი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი პირველი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, პოდაგრა, სახსრებში მარილების დაგროვება, სახსრების ანთება, ნიკრისის ქარი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება. მკურნალობისას თანდათან მცირდება ტკივილები წელზე, სახსრებზე. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

## მალამო მენტორი ხუთი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: ქუსლების (გარქოვანება და ნახეთქები), ბუასილის კვანძების, ფსორიაზის სამკურნალოდ. მალამო გამოყენების შემდეგ ხსნის დაჭიმულობას წელიდან მუხლამდე, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში, ხსნის სიმძიმეს, წვას. მკურნალობისას ქრება ტკივილები. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

## მენტორი შვიდი — სპრეი ტუბი

გრიპის, პლევრიტის, ალერგიისა და გაციებისას ცხვირის არხებიდან გამონადენის შესაჩერებლად შექმნილია ანტიალერგიული სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება „მენტორი 7". დაფასოებულია სპრეი ტუბებში.

მიღების წესი: კარგად გათავისუფლდეს ცხვირის არხები გამონადენისაგან, წამალი შევისხუროთ 2-3-ჯერ დღე-ღამის განმავლობაში. წამლის მიღების შემდეგ უმჯობესდება სუნთქვა, მცირდება და თანდათან წყდება გამონადენი ცხვირიდან.

☎ 599-73-48-21; 598-73-48-21.

## სპორტი

### ბარსელონა მესისთან ახალ კონტრაქტს მალე გააფორმებს

ბარსელონა თავის არგენტინელ კაპიტან ლიონელ მესისთან ახალ კონტრაქტს გააფორმებს და ეს კონტრაქტი, სავარაუდოდ, 3-წლიანი იქნება, რის შემდეგაც ის არგენტინაში დაბრუნებას აპირებს. მესი, დიდი ალბათობით, კონტრაქტს ხელს რამდენიმე დღეში მოაწერს, როდესაც შვებულებიდან დაბრუნდება. იყო საუბრებიც იმაზე, რომ მესი გუნდს დატოვებდა, მაგრამ ეს ხმები მართალი არ აღმოჩნდა.

კონტრაქტის ღირებულება 350 მილიონი ევროა.

### მარკო ლოკატელის ყიდვა არსენალს სურს

სასუოლოს ახალგაზრდა ფორვარდმა მარკო ლოკატელიმ ევროპის ჩემპიონატზე საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა და მისი შეძენით რამდენიმე გუნდი დაინტერესდა, მათ შორის ლონდონის არსენალიც. არსენალი მზად არის, ამ ტრანსფერში 20 მილიონი გადაიხადოს, მაგრამ სასუოლო უფრო მეტს ითხოვს და წინააღმდეგ შემთხვევაში ლოკატელის გაყიდვას არ აპირებს.

### გიორგი არაბიძე კარიერას სამტრედიაში გააგრძელებს

გიორგი არაბიძე სამტრედიაში ერთი თვის განმავლობაში ვარჯიშობდა და ჭორები მისი ამ გუნდში გადასვლის შესახებ მართალი აღმოჩნდა. არაბიძე ბოლო წლებში პორტუგალიურ ნასიონალს ეკუთვნოდა, მაგრამ მან რამდენიმე წელიწადი სხვადასხვა გუნდში გაატარა და, შეიძლება ითქვას, რომ არაბიძემ მასზე გაცემული ავანსები ჯერჯერობით ვერ გაამართლა. არაბიძეს საქართველოს ნაკრებში 4 მატჩი აქვს ჩატარებული.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. მდინარე თურქეთსა და საქართველოში; 2. კუთხე საქართველოში; 3. საზეიმო კონცერტის დასკვნითი ნაწილი; 4. ქალის უთითო ხელთათმანი; 6. ქალების მოყვარული, მექალთანე მამაკაცი; 8. მრავალწახნაგა გეომეტრიული ფიგურა; 11. ხევსურული ტანსაცმელი; 12. ყმაწვილის ხმის შეცვლა, დაბოხება ასაკში შესვლის გამო; 16. ქართული ზღაპრების პერსონაჟი ავი სული; 17. სამეჯლისო ცეკვა; 18. მთამსვლელთა მეგზური, გამყოლი ჰიმალაებში.

**თარაზულად:** 1. ქალაქი იმერეთში; 5. ანტონიო გაუდის მიერ დაპროექტებული პარკი ბარსელონაში; 7. „დედინაცვლის ენად" წოდებული კაქტუსის ერთ-ერთი სახეობა; 9. ელექტრონული წინაღობის საზომი ხელსაწყო; 10. იტალიელი მოდელიერი; 13. გეოდეზიური საველე სახაზავი მაგიდა; 14. მწვანით მოსილი წყლიანი ადგილი უდაბნოში; 15. შტატი აშშ-ში; 19. იტალიური ვერმუტი; 20. შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 21. ძუნწი ადამიანის მეტსახელი საფრანგეთში; 22. სახელმწიფო ევროპაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## ბასილაშვილი მეოთხედფინალში უბრძოლველად გავიდა

ქართველი ჩოგბურთელი ნიკოლოზ ბასილაშვილი ჰამბურგში (საპრიზო ფონდი 1.030.900 ევრო) მიმდინარე ევროპის ღია პირველობის მეოთხედფინალში ითამაშებს, თანაც ისე, რომ კორტზე ჯერ არ გასულა.

საქმე ის არის, რომ ბასილაშვილი ტურნირზე მესამე განთესვით არის, რის გამოც პირველი წრე გამოტოვა, მეორე წრეში კი მეტოქედ არგენტინელი სებასტაიან ბაეზი უნდა ჰყოლოდა, მაგრამ სამხრეთამერიკელს კორონავირუსი დაუდასტურდა და ტურნირს გამოეთიშა. ბასილაშვილი მეოთხედფინალში სერბ ლასლო ჯერესა და ბრაზილიელ ტიაგო უაილდს შორის მოგებულს ელოდება.

შეგახსენებთ, რომ ბასილაშვილისთვის ჰამბურგის ტურნირი საყვარელი ტურნირია და კარიერაში ორჯერ, 2018 და 2019 წლებში აქვს მოგებული.

## ტორპედოს შესაძენად ბრძოლა გრძელდება



ქუთაისის ტორპედოში გარკვეული სიახლეებია, მაგრამ გაურკვეველია, ვის გადაეცემა გუნდი. კლუბის პრესსამსახურის განცხადებით ცნობილი გახდა, რომ კლუბს ახალი სპონსორი ჰყავს – „ნიუ ვიჟენი“ და მისი რექტორი დავით კერესელიძე.

აი, რა წერია ტორპედოს განცხადებაში:

– საფეხბურთო კლუბ ტორპედოსა და კომპანია „ნიუ ვიჟენს“ შორის ხელშეკრულება გაფორმდა. ხელშეკრულების თანახმად, კომპანია სპონსორობას გაუწევს ტორპედოს. ამ გადაწყვეტილებით კლუბში არსებული ფინანსური პრობლემები მოგვარებულია. ქუთაისის ტორპედოს სახელით სპონსორობისთვის კომპანია „ნიუ ვიჟენს“ დიდი მადლობას ვუხდით.

„ნიუ ვიჟენი“ ტორპედოს ახალი სპონსორი კი არის, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ კლუბი მას გადაეცა.

საქმე ის არის, რომ ტორპედოს შეძენა „ალიანს ჯგუფ ჰოლდინგის“ პრეზიდენტ აიეტ კუკავასაც სურს, რომელიც ასევე შეხვდა ქუთაისური გუნდის გულშემატკივრებს და საკუთარ გეგმებზე ელაპარაკა.

„ალიანს ჯგუფ ჰოლდინგი“ კლუბის შესყიდვაზე ბრძოლას აგრძელებს. ეს ინფორმაცია კომპანიის წარმომადგენელმა და ტორპედოს პროექტის პრესსპიკერმა მიხეილ აბაიშვილმა დაგვიდასტურა:

**მიხეილ აბაიშვილი:**

– ქუთაისის ტორპედოს განცხადებაში არ წერია, რომ კლუბი გაიყიდა. დიახ, „ნიუ ვიჟენი“ კლუბის სპონსორი გახდა, მაგრამ არა – მეპატრონე. „ალიანს ჯგუფ ჰოლდინგი“ კი კვლავ ეცდება კლუბის შესყიდვას. ქუთაისის მერიამ წერილი გამოგვიგზავნა, რომ კლუბის დავალიანებაზე აუდიტორული დასკვნა საბოლოო შემოწმებისთვის სამხარაულის საექსპერტო ბიუროში გადაიგზავნა და დასკვნას კვირის ბოლომდე ელიან. ამის შემდეგ კლუბი გავა ღია აუქციონზე და იქ გადაწყდება, ვინ გახდება მეპატრონე – „ალიანს ჯგუფ ჰოლდინგი“ თუ „ნიუ ვიჟენი“.

ამასთან, განცხადებაში ნათქვამია, რომ ხელშეკრულების თანახმად, კომპანია სპონსორობას გაუწევს ტორპედოს და ამ გადაწყვეტილებით კლუბში არსებული ფინანსური პრობლემები მოგვარებულია. „ალიანს ჯგუფ ჰოლდინგის“ სახელით ვაცხადებთ, რომ ეს განცხადება არ შეესაბამება სიმართლეს და საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობაა. ჩვენ ვფლობთ ინფორმაციას, თუ ვინ ცდილობს გაავრცელოს არასწორი ინფორმაცია და კონკრეტული კომპანიის სასარგებლოდ შექმნას მცდარი საინფორმაციო ფონი. ფინანსური პრობლემები ქუთაისის ტორპედოში მოგვარებული არ არის. ამჟამად, სხვადასხვა დავალიანებასთან ერთად, ტორპედოს გააჩნია იტალიელი ინვესტორების ვალი 2 მილიონი ლარის ფარგლებში და სახელფასო დავალიანება 700.000 ლარის ფარგლებში – სხვადასხვა დავალიანებასთან ერთად (სასტუმროები, მოედნების არენდა და ა.შ.), მთლიანობაში გუნდის ვალი დაახლოებით 3 მილიონ ლარამდეა. ამ დავალიანების გასტუმრების გარეშეც კლუბი აღმოჩნდება გადაულახავი პრობლემების წინაშე. არაფერს ვამბობთ იმ ფაქტზე, რომ წლის ბოლომდე გუნდის ნორმალური ფუნქციონირებისთვის, 3-მილიონიანი ვალის დაფარვის გარდა, კიდევ 2 მილიონი ლარის ინვესტირებაა საჭირო.

ჩვენი კომპანია აუქციონში აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას, რომელიც უახლოეს მომავალში ქუთაისის ტორპედოს გასხვისების მიზნით ჩატარდება. შესაბამისად, დღეიდან 2,5 წელიწადში 6 მილიონი დოლარის ინვესტირებას ვგეგმავთ და გუნდის განვითარების პროპორციულად ინვესტიციები შესაბამისად გაიზრდება.

## სახელფასო ჭერი მადრიდის რეალსაც შეუმცირეს



ესპანურმა ლა ლიგამ ბარსელონის შემდეგ სახელფასო ჭერი მადრიდის რეალსაც შეუმცირა. აპენინური მედიის ცნობით, გასულ სეზონში „სამეფო კლუბის“ სახელფასო ჭერი 473 მილიონი ევრო გახლდათ, 2021-22 წლების სეზონში კი ეს თანხა 300 მილიონ ევრომდე უნდა ჩამოვიდეს.

სახელფასო ჭერის შემცირებამ რეალი რთულ მდგომარეობაში ჩააყენა. შედეგად, კლუბს ლიმიტის დარღვევის თავიდან ასარიდებლად რამდენიმე ფეხბურთელის გაშვება მოუწევს. აქედან გამომდინარე, გამორიცხულია, რომ მადრიდელებმა ამ ზაფხულს კილიან მბაპეს გაფორმება შეძლონ.

რაც შეეხება წასვლის მთავარ კანდიდატებს: პირველ რიგში ეს რაფაელ ვარანია. ფრანგი ფეხბურთელი გაისად თავისუფალი აგენტი ხდება და რეალს მისი უსასყიდლოდ გაშვება არ სურს. ვარანის გადაბირებით მანჩესტერ იუნაიტედია დაინტერესებული და მზად არიან, მის სანაცვლოდ 50 მილიონი ევრო გადაიხადონ.

რეალის მთავარი პრობლემა ბეილსა და აზარს უკავშირდება. 2 ფეხბურთელის ხელფასი დაახლოებით 13%-ია და კლუბს მათი შენარჩუნების პერსპექტივა არ ხიბლავს, თუმცა მათი შეძენის მსურველიც არავინაა.

ასევე ესპანური მედიის ცნობით, ბურუსითაა მოცული ისკოს, სებალიოსისა და ოდეგორის მომავალიც. გამოცემის ინფორმაციით, დიდი შანსია, უახლოეს პერიოდში მათ „სანტიაგო ბერნაბეუ“ დატოვონ.

დადებითი მხოლოდ ის არის, რომ რეალსა და ერლინგ ჰაალანდს შორის წინასწარი შეთანხმება არსებობს, სწორედ აქედან გამომდინარე, ფლორენტინო პერესი სიმშვიდეს ინარჩუნებს და ლონდონის ჩელსის აქტივობას დიდ ყურადღებას არ აქცევს.

არადა, ჩელსის მფლობელი რომან აბარამოვიჩი რომ ნორვეგიელის შეძენით არის დაინტერესებული, უკვე ვწერდით.

რეალი ნორვეგიელ თავდამსხმელს დაჰპირდა, რომ 2022 წელს აუცილებლად დაიმატებს და მას საკმაოდ მისაღებ სახელფასო პირობებსაც შესთავაზებს.

მადრიდული კლუბის პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი დარწმუნებულია, რომ 2022 წლის ზაფხულამდე რეალის ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება და კლუბი დიდი აქტივობების განხორციელებას შეძლებს.

ამავე დროში ძალაში შევა დორტმუნდისა და ჰაალანდის კონტრაქტის მნიშვნელოვანი დეტალი, რომელიც ნორვეგიელის ფასს კონკრეტულად 75 მილიონ ევროდ განსაზღვრავს.

## მსოფლიო თასზე პირველი ბარიერი მხოლოდ ჯობავამ გაიარა



რუსეთის ქალაქ სოჭში დაიწყო ჭადრაკში მსოფლიოს თასის გათამაშება ქალთა და ვაჟთა შორის. საქართველოდან 7 მონაწილე გვყავს: ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი, ნინო ბაციაშვილი, ბელა ხოტენაშვილი, ბაადურ ჯობავა, ლუკა პაიჭაძე და ლევან ფანცულაია.

ვაჟთა შორის 206 მოჭადრაკე იბრძოლებს, 2 საუკეთესო კი რვაკაციან კანდიდატთა ტურნირის საგზურს მოიპოვებს.

ტურნირის საპრიზო ფონდი 1.892.500 დოლარს შეადგენს, საიდანაც პირველ ადგილზე გასული მოჭადრაკე 110.000 მიიღებს, მეორეადგილოსანს კი 80.000 ერგება.

სამწუხაროდ, პირველი წრის შემდეგ ვაჟთა შორის მხოლოდ ერთი მონაწილე შემოგვრჩა: ბაადურ ჯობავამ ამერიკელი აბხიმანი მიშრა 1.5-0.5 დაამარცხა და შემდეგ წრეში გავიდა, სადაც მეტოქედ ასევე ამერიკელი სემ შანკლადი ეყოლება, რომელიც პირველ წრეში ისვენებდა. ფანცულაია და პაიჭაძე კი უზბეკ ძმებთან ჯახონგირ და შამშიდინ ვოხიდოვებთან დამარცხდნენ.

ქალთა შორის 103 მონაწილეა, ჩვენებურები ტურნირში მეორე წრიდან ჩაერთვებიან და, შესაბამისად, მეტოქეთა ვინაობას მოგვიანებით შეიტყობენ.

ქალთა მსოფლიოს თასის საპრიზო ფონდი 676.250 დოლარია და ჩემპიონი 50.000 მიიღებს, ტურნირის 3 საუკეთესო მონაწილე კი პრეტენდენტთა ტურნირის საგზურს მოიპოვებს.

## ოლიმპიადას ფედერერიც გამოაკლდა



საჩოგბურთო სამყაროში დიდ სამეულად მიჩნეული სპორტსმენებიდან ესპანელი რაფაელ ნადალის შემდეგ ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებს შვეიცარიელი როჯერ ფედერერიც გამოტოვებს, სერბი ნოვაკ ჯოკოვიჩი კი ჯერ ფიქრობს.

ლეგენდარული შვეიცარიელი ტრავმის გამო ვერ ითამაშებს და ვეღარც ოლიმპიურ ოქროს შესწვდება. ეს ერთეულთა თანრიგში, თორემ წყვილთა შორის აქვს (2008 წელს თანამემამულე სტენ ვავრინკასთან ერთად).

**როჯერ ფედერერი:**

– სამწუხაროდ, მუხლი ისევ დამიზიანდა და ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე ვერ ვიასპარეზებ. ძალიან იმედგაცრუებული ვარ, რადგან ჩემთვის ყოველთვის ნებისმიერ დროს დიდი პატივი იყო შვეიცარიისთვის თამაში.

2004 წელს ათენში და 2008 წელს პეკინში როჯერი შვეიცარიის მედროშე გახლდათ.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## შედეგები

**13 ივლისი**

**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

**საკვალიფიკაციო ეტაპი**

| | |
|---|---|
| ლინკოლნი-ფოლა | 5:0 |
| რიგა-მალმიო | 1:1 |
| ჰიბერნიანსი-ფლორა | 0:3 |
| შერიფი-ტეუტა | 1:0 |
| მურა-შკენდია | 5:0 |
| ბორაცი-კლუჟი | 2:1(დდ) |
| პრიშტინა-ფერენცვაროში | 1:3 |
| ბუდუჩნოსტი-ჰიკი | 0:4 |
| ლინფილდი-ჟალგირისი | 1:2 |
| შემროკი-სლოვანი | 2:1 |
| შახტიორი (ს)-ლუდოგორეცი | 0:1 |
| ვალური-დინამო (ზ) | 0:2 |

**უეფას კონფერენციის ლიგა**

**საკვალიფიკაციო ეტაპი**

| | |
|---|---|
| ნიუთაუბი-დანდალკი | 0:1 |

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას
„მადლიერების წიგნი“
ათასი მორჩენილი პაციენტის
სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.**

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. მონასტერი ოჩამჩირის რაიონში; 2. ფლიდი, ფარისეველი ადამიანი; 3. ქართული ფარმაცევტული ფირმა; 4. ველოსიპედის ერთ-ერთი დისციპლინა; 5. ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა მდებარე ტბა საქართველოში; 6. წვრილყელიანი ღვინის სასმისი; 9. ზაზა ურუშაძის მხატვრული ფილმი; 10. უმაღლესი ხარისხის ქვანახშირი; 11. კომუნისტური წყობის უმაღლესი ფაზა; 14. ვულკანური წარმოშობის ძალზე მსუბუქი ფოროვანი მინერალი; 16. მიწისქვეშა განძეულის მცველი ქონდრისკაცი გერმანულ მითოლოგიაში; 18. მოსახლეობის რაოდენობით ყველაზე დიდი სახელმწიფო აფრიკაში; 20. მწვერვალი კავკასიონზე; 23. ციმბირული ირემი; 24. მზის სისტემის პლანეტა; 25. მომწამვლელი ნივთიერება; 26. ხელოვნების ერთ-ერთი ჟანრი.

**თარაზულად:** 7. ისტორიული ციხე-ქალაქი ქვემო ქართლში; 8. მცენარის სასიცოცხლო მოქმედება; 12. სილის გორაკი ზღვის, ტბის სანაპიროზე; 13. ერთწლიანი პარკოსანი მცენარე; 15. კოვბოების შეჯიბრება; 17. ხაშურის ძველი სახელწოდება; 19. ოქროს ვარაყის ძველი ქართული სახელწოდება; 21. სამხრეთ ამერიკაში გავრცელებული ოქროსფერი კურდღელი; 22. ავტოდრომი იტალიაში; 27. ვაზის მავნებელი მწერი; 28. ქართველთა გამაერთიანებელი მეფე.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჯულელი; 2. ალგეთი; 3. რეცენზია; 4. სტიაუა; 6. კატალოგი; 8. მიანმა; 11. სოლოლაკი; 12. ფილაური; 16. იურტა; 17. ბირჟა; 18. ფერმი.

**თარაზულად:** 1. ჯანაოზი; 5. მალკო; 7. ნეოფიტი; 9. ეკლესია; 10. ლამარია; 13. მუხიანი; 14. ბოინგი; 15. ვაჩა; 19. სამსუნი; 20. მიუზიკლი; 21. სალუქვაძე; 22. პილონი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ქლიბი; 2. ჩხუტი; 3. პერგოლა; 4. ჩოხა; 5. ლიმა; 6. ანოსმია; 9. ვარდოსანიძე; 10. არბიტრაჟი; 11. გერიატრია; 14. ნივეა; 16. სეიკო; 18. ალუმინი; 20. გამპერი; 23. არვე; 24. ვარნა; 25. ფშავი; 26. ლიდა.

**თარაზულად:** 7. ფენოლოგია; 8. ხუბისტანი; 12. კობრა; 13. სეიმი; 15. რადიო; 17. ველასკესი; 19. ცენტი; 21. ბურჟე; 22. სიამი; 27. ანტიკვარი; 28. ბაღდადური.

# ძალაუფლება ეკუთვნის ხალხს

15 ივლისის გმირების მოგონებებითა და მოწმეების ჩვენებებით



kızılay Meydanı / ANKARA